

ნორატ ჯალაღინია

მსაჯელი ღრთ
და წლებია

ნოდარ ჯაჭაჭონია

მსაჯული ღრთ ღა წლებია



ლექსები

- 2007 ვ.
- 2006 ვ.
- 2005 ვ.
- 2004 ვ.
- 2003 ვ.



1257.749




ՌԵԴԱՔՑԻՈՆԸ ԲԱՐԱՑ ՑՐՑՈՒՑՅՈՒՆԸ

ՌԵԴԱՔՑԻՈՆ-ԳԱԹՈԹՎԵՄԵԼԸ ՑԱՐՑԱՆ ԿԱԺԱՐԱՈՒ

ISBN 978-9941-9003-5-8

© Ե. Ջալաֆոնիա, ցամոթվեմլութեան, 2008



ჭიათურა

2007

წელი

ჭიათურა

ქართველები

წარწერა ტარიელ უფლებამოსის წიგნზე –
„ქართველები“

დროს და წლების ქარიშხლებს სულ ფეხდაფეხ მოვცვებით,
აღარ გვაკლდა არასდროს არც მტრები, არც მოყვრები.
ისტორიის გზებზე და ბეწვის ხიდზეც ვიარეთ,
ანალებში ვტოვებდით ჩვენს სახელს და იარებს.
რადგან ჩვენს გაჩენაში უფლის ხელი ერია,
ვერც წლები და ვერც მტრები ვერა, ვერ მოგვერია.
ისტორიას აღვიძებს ჩვენი სისხლის წვეთები,
შუმერები, მოსხები, ხალიბები, ხეთები,
კოლხები და ლაზები, იბერები, ქართები,
ქართველებად გავჩნდით და ქართველებად დავრჩებით.
აზიას და ევროპას ისევ მოველანდებით
ჩვენი სიგელ-გუჯრებით, ძველი ფოლიანტებით.
ჩვენი ოქროს საწმისით, ლეგენდებით, მითებით,
ქართველები ვიყავით, ქართველები ვიქნებით.
არ მოაკლებს უფალი მამულს შვილებს ერთგულებს,
შვილებს აღმაშენებლებს, შვილებს თავდადებულებს.
ჩვენი ჯიშით, ჯილაგით, რწმენითა და ფიქრებით
ქართველები ვიყავით, ქართველები ვიქნებით.
არც არასდროს გავქრებით, არც არასდროს დავშრებით,
ქართველებად გავჩნდით და ქართველებად დავრჩებით!

2007 წ.

„2068 დედაენას დაივიზუას, დამტირებელსაც დავიზუაბია“

10 წლის ვერეზნებული გობონას ვერიზიზან.
ტელევიზრანიზან გამოიძი.

უდირსი შვილის შემყურე ენა წუხდა და ოხრავდა,
სამშობლოს დამვიწყებელი მიწას რჩებოდა ოხრადა.

მიტოვებული, ეუდი კვდებოდა და ვერც კვდებოდა,
სიცოცხლეს ემეტებოდა და სიკვდილს ერცხვინებოდა.

არ იყო დამტირებელი, აღარც მოთქმა და გოდება,
ასეა, ვისაც სამშობლო და ენა არ აგონდება.

ასეა, მას, ვინც თავის ერს და დედაენას ივიწყებს,
მშობელი მიწის მოძულეს სხვაგან სამარეს ვინ მისცემს.

ცოცხალია თუ მკვდარია, არ შეიფარებს არავინ,
ქართველისათვის სხვა ხატი, სხვა სალოცავი არ არი.

უცხო ენით არ ითქმება ჩვენი დარდი და ტკივილი,
სხვა არის დედაენაზე მოთქმა, გოდება, ტირილი.

სხვა არის დედაენაზე ლოცვა, ქურთხევა, დაღადი,
ქართველი ენით გავძელით, რუხოველის ენით გავლადლით.

თორემ ყველას, ვინც უცხო ცამ და მიწამ დაიმარტოვა,
სიკვდილი როა, სიკვდილიც აღარ დაუდგა პატრონად.

იმათ გვარსა და სახელებს სამშობლო არ ათარიღებს,
ვინც დედაენას ივიწყებს, დედასამშობლოც არ იღებს.

თუ სისხლმა აღარ იყიდლა, თუ გული არ ჩაერია

სწავლის და ცოდნის ძიებას, გაგიხარია, ფასი აქვს,
 რომ მოიარო ევროპა, ამჟრიკა და აზია.

მაგრამ ოქსფორდი, ქემბრიჯი, ჰარვარდიც არაფერია,
 თუ სისხლმა აღარ იყიდლა, თუ გული არ ჩაერია.

თუკი მამულის ტკივილი არ გტკივა და არ გაწვალებს,
 შენი სამშობლოს სიუვარულს მარტო წიგნი ვერ გახსავლის.

თუ უცხო ცათა შემყურებ სამშობლოს ცა არ ინატრე,
 თუ შენი ქვეყნის ხატება სულში არ დააბინადრე,

თუ არ მოგეხმა ხანდახან ყეფა ალგეთის ლეკვების,
 არ მოგენატრა წინანდლის ვარდი კი არა, ეკლებიც,

თუ შენი გული და ფიქრი კრწანისმა აღარ დანაღმა,
 თუ არ მოგინდა დიდგორის და ბასიანის დანახვა,

თუ ენამ რუსთაველისამ შენი სათქმელი არა თქვა,
 თუ აღარ გაგადიდგულა იმ 9 ძმამ და იმ მარაბდამ,

თუ გულს ჭრილობად არ დარჩა ის 9 აპრილის იარაც,
 თუკი „შავლეგოს“ სიმღერამ ძარღვებში არ გაგიარა,

ამაო არის ყოველი სწავლა, გარჯა და წვალება,
 მამულზე ფიქრი მარტოდენ წიგნებით არ ისწავლება.

უნდა შენს ხალხთან ილხინო, უნდა შენს ხალხთან იწვალო
 და სიუვარული სამშობლოს შენი ხალხისგან ისწავლო.

30ს ებრძოლენი, რას ებრძვიან საქართველოს მტრები

ვის ებრძოდნენ ჩვენი მტრები ასე რისხვით, ასე ბოლმით, –
პირველ რიგში, ქართულ სიტყვას და ლექსს
„ვეფხისა და მოქმის“.

ჩვენს მტრებს ახლაც ტანზი ზარავთ მოღულუნე
აკვნის ხმები
და ებრძვიან „იავნანას“ ერისა და ენის მტრები.

მტერს ძილშიაც არ ასვენებს ის ცხრა ძმა თუ ის
ცხრა ფერი,
ტანზე ბეჭვის ამშლელ პანგებს და სიმღერებს
ებრძვის მტერი.

ებრძვის, რასაც საქართველოს ფეხვები და ლიბო ჰქვია,
„ჩაქრულოს“ და ცეცვას „ქართულს“, „პარიზას“ და
„ოდოიას“.

დღევანდელი თემურ-ლენგი თუ იუდა, ვარცხლის კერძი,
დღესაც ცერზე დამდგარ ქართველს, ანუ საქართველოს
ებრძვის.

ებრძვის იმათ, ვინც სამშობლოს იმედად და ბურჯად
დგანან.

ებრძვის, მაგრამ ვერ ერევა „ხორუმისა“ და „განდაგანას“.

ვინც ბოროტად გვიმზერს დღესაც და მახვილით ჩვენები
მოდის.

ებრძვის გელათს, სვეტიცხოველს, ებრძვის ჯვარს და სისამართლებრივ ებრძვის ჰყონდიდს.

რომ მზის ფერში არ ერიოს ჩვენი ცის და მიწის ფერი,
ყინწვისის და ბეთანიის ანგელოზებს ებრძვის მტერი.

არც დიდგორი, ბასიანი, არც მარაბდა არ ასვენებს,
განა მარტო ცოცხლებს ებრძვის, ებრძვის სამასს –
არაგველებს.

ებრძვის ყველას, ვის სახელსაც საქართველო დროშად
არხევს,
ებრძვის ცხრა ძმას, თევდორე ბერს, ქეთევანის უკვდავ
სახელს.

არ მოკვდება საქართველო, არ მოკვდება ჩვენი ური,
სანამ ისმის „მუმლი მუხას“, „რიპო“, „მრავალქამიერი“,

სანამ ერთი ქართველიც კი ქვეყნის უდელს ქედზე იდგამს,
სანამ გულს და მუხლს გვიმაგრებს დავითის ხმა,
შოთას სიტყვა,

სანამ მოყმე ვეფხვთან იბრძვის და ქართველი ცერზე დგება,
არ მოკვდება საქართველო,

საქართველო არ მოკვდება!

2007 წ.

არ შეიფარებს სამშობლო

ხალხურ კილოზე

I.

საფლავში წოდა სჯობია
სირცხვილის ღაფში წოლახა,
ერთხელ კაცური სიკვდილი –
სულ მუდამ შიშს და ძრწოლასა.
არ შეიფარებს სამშობლო
არც ვპოლების მონასა,
ვინც გადაჲვება ჩინ-მედლებს
და მუცლის ამოყორვასა...
ვინც წინაპრების დიდ სახელს
შეაჭმევს ყვავს და ყორანსა...
უშვილობა სჯობს ათასჯერ
უდირსი შვილის ყოლასა.

II.

კარგი დედა-მამის შვილობა
თუკი განგებამ ინება,
არის ტვირთიც და კვარცხლბეჭიც,
ღვთის წყალობა და ღვთის ნება.
თუ ქვეუნის ტვირთიც არ ზიდა,
სამშობლო არ გაიღმერთა,
თუკი დასჭირდა მამულს და
სიცოცხლე არ გაიმეტა,
თუ თვითონჩც არ ივაჟებაცა,
სახელი არ დაიბედა,
ნურვინ იქნება მარტოდენ
კარგი დედ-მამის იმედად.

2007 წ., თებერვალი

მიწა შეცვერცხლით შეჭრული

„ქართველებო, ძმებო! ცხადად ვხედავთ,
 აუცილებელი სიკედილი მოსულა ჩვენგე.
 რომელი გინდათ: სახელით სიკედილი
 მამულისათვის და კარგი მეფისათვის თუ
 უნამუსო სიცოცხლე?..“

... სიკედილი გვირჩევნია... – გმადლობთ
 ძმებო! მაშ, სამი თითოები ყველამ მიწა ავიღოთ,
 შევჭამოთ, ეს იყოს წმინდა საიდუმლოს
 (ზიარების) მაგიერი, მას უკან საიქიონო
 წავიდეთ სახელოვნად!“

პრანისის ველზე
 თავად ბირები ბურამიშვილის
 მიერ წარმომაზრი სიცვიდან

თუ სიყვარული მამულის გულით გვშია და გვწყურია,
 სამშობლოს მიწა და წყალი ჩვენი არსობის პურია.

ამიტომ ბევრი ქვეყნისთვის, მამულისათვის ეწამა,
 ჯავრისგან მიწა და წყალი ჩვენი არსობის პურია.

როს გულმა ფიცვერცხლნაჭამშა ბიჭები გააფოლადა:
 – სამშობლოს ვინც უდალატოს, დედა შეერთოს ცოლადა! –

თქვეს და ვაჟქაცთა ლაშქარი მომხდურს გულდაგულ
 უკვეთა,
 სურვილით დედასამშობლოს და არა მარტო მეტეთა.

მეფენი მიდი-მოდიან, სამშობლო რჩება უცვლელი,
 ეს მათი სისხლით გაბრწყინდა „ქართლის ცხოვრების“
 ცურცელი.



ვერ მოერია დრო-უამი სამშობლოს მადლით შემოსილება
და იქცნენ ქვეყნის ხატებად და მიწად საქართველოსი.

იქცნენ „ვარციხედ“, „ქვაციხედ“, „გელისციხედ“ თუ
„მკვდრის გორად“,
მათმა ნებამ და სახელმა სამშობლო გაადიდგორა.

და დღესაც მათი ხმა ისმის ცოცხლების გასაგონადა:
– ვინც უდალატოს სამშობლოს, დედა შეერთოს ცოდადა!

2007 წ., აპრილი

სანამდე უნდა 30თმ06ოთ

დმიტრია მოწმე, ამქვეყნად არ გაჩენილა თავისით
არც თამარშენი თამარის და არც გარეჯი დაფითის.

ნეტავ დღეს ვინ გვედავება, რა სინდისით და პირითა,
ნაგებს ქართული სისხლ-ოლფით, ქართული ქვით და
კირითა.

ქვეყნის მტერი და ორგული სანამდე უნდა ვაციხოთ,
სანამდე უნდა შორიდან ვეფეროთ და ველაციცოთ

ჩვენს ციხე-კოშკებს, ჩვენს ტაძრებს, ჩვენს საფიცარს და
საღორვავს,
სანამდე უნდა გავუძლოთ ამ წეთისოფლის გამოცდას.

სანამდე ვიხეტიალოთ ფიქრებითა და ოცნებით,
სანამ გეძებოთ კლდე-ღრეში მიტოვებული ლოცვები.

სანამდე ვიშორიშოროთ ჩვენი სისხლ-ოფლით ნაჯერი
ტაო-კლარჯეთის მიწა თუ გარეჯის მიწის ნაჭერი.

სანამდე უნდა გვიმზერდეს დუშმანის თვალი გამწყრალი,
სანამდე გვქონდეს სადაც სამშობლოს მიწა და წყალი.

2007 წ., პეტოლი

მსახული ღრი და წლებია

სიცრუითა და სიბილწით როცა კვარცხლბეჭჩე დგებიან,
დიდების მაძიებელნი თურმე ამაოდ ცდებიან.

რადგან მსაჯული ამქვეყნად მხოლოდ ხალხი და წლებია,
მათი სახელი და გვარიც ძეგლებთან ქრთად ქრებიან.

ამაო არის ყოველი ყალბი ქება და დიდება,
ქვეყნად ვინ რისი დირსია, დრო არგის არ ეკითხება.

დროს და წლებს მიაქვს ყოველი – უფალმა თუ არ ინება,
თუკი სიცოცხლე ხალხსა და სამშობლოს არ ეწირება.

არც მიწაზე და არც ცაში არა აქვთ თავშესაფარი
მათ დავიწყებულ სახელებს და უპატრონო საფლავებს.

დრო დგება, ბოლო კლება მკვდრისა და მიწის წვალებას,
ქაცის სიკვდილზე მძიმეა საფლავის გარდაცვალება.



მხოლოდ კაი ყმის ხედრია დროსთან და წლებთან
საცოდავია ამქვეყნად ძეგლები სიკვდილმისჯილი.

2007 წ., 8 აპრილი (პრეზენტაცია)

გვიად გამსახურდიას დაბრუნება სამშობლოში

დასრულდა გზები გოლგოთის, სამშობლოსათვის წამების,
დღეს მის სახელს და მის საფლავს ადგას ნათელი სამების.

არ დაეღვევა სამშობლოს წმინდა გიორგის ლაშქარი,
ფეხზე დამდგარი დაუხვდა მთაწმინდა – გორი ლაშარის.

აგერ ქაქუცა, მურაბი, აგერ მართალი იღია,
ამიერიდან სამშობლოს და უკვდავების შეიღია.

2007 წ., აპრილი

კერივრაგი „ვეზენსტარსნიდან“

როცა ხალხსა და ქვეყანას უჭირს
და ვხედავთ სიკვდილ-ხიცოცხლის სამანს,
ვიგონებთ დავითს, ფარნავაზს, ქაჯის,
პაატას, 9 ძმას, არაგველს სამასს.

რადგან ქვეყნისთვის ჩვენც გვიძგვრს გული,
 თუ მოადგება სამშობლოს მტერი,
 ვიშიშვლებთ სახელს თავდადებულის,
 ზვიადისა და თევდორე ბერის.

რადგან სამშობლოც ღმერთად ვიწამეთ,
 არ მოგვაკლდება ღვთისმშობლის მადლი,
 ისევ დავიცავთ, როგორც ვიცავდით,
 ქეთევანის და თამარის მანდილს.

დაგიცავთ ქვეყნის ნაშუსს და სინდისს,
 დასისხლულ კრწანისს, ნატყვიარ კოჯორს
 და ჩვენც ვინატრებთ იმ ლამაზ სიკვდილს,
 ნაძრას სიცოცხლეს ათასჯერ რომ სჯობს!

2007 წ., 04 ნოემბერი

გამარჯვებული ქართველი – ამაყი საქართველოა

ქართველი ხართსმანებს

რადგან წინაპართ სახელებს ისევ გულდაგულ მოჟყვებით,
 არ დალევია სამშობლოს ვეფხვთან მებრძოლი მოქმენი.

ის 9 აპრილი, 9 მარტი, ის 9 მმა ხერხეულიძე,
 ეს ხომ იმათი სისხლია, ეს ხომ იმათი გული ძგერს.

ეს ხომ იმათი სისხლია თქვენი თანმდევი, – თავდებიც,
 გამარჯვებული ამაყად როცა კვარცხლბეგზე დადგებით.



იცოდეთ, რინგზე გასული, ხართ ქვეყნის ციხესიმაგრების
და წინაპრების სულია, ბრძოლებში გულს რომ
გიმაგრებთ.

იმ ლამაზ დღეებს სამშობლომ თუ ბევრჯერ დამჟ უთია,
ის განა მარტო თამაში, ის განა მარტო ბურთია.

ის განა მარტო რაგბია, ის განა მარტო ლელოა,
გამარჯვებული ქართველი – ამაყი საქართველოა.

ამიტომ თქვენს გამარჯვებებს ასე გულდაგულ ელიან,
სტადიონიც და ტატამიც თითქოს დიდგორის ველია!

2007 წ.

ქართვლის დელები

მარაბდის ომში 9 ათასი ქართველი დაეცა,
მათ შორის 9 ძმა ხერხეულიძე, მათი ღედა
და ერთადერთი და, ასევე – 9 მაჩაბელი, 7
ჩოლოყაშვილი.

როგორც დემოგრაფები აღნიშნავენ,
ქართველი ერთ კატასტროფულად მცირდება
და გადამენების პირასაა მისული.

თუ მოგვადგება უეცრად მტერი ავი და თავხედი,
რამდენი ქეთევანით და თევდორე ბერით დავხვდებით.

რამდენი დედა დადგება ქართული დროშით გაშლილით,
მტერს შეაკვდება რამდენი მაჩაბელ-ჩოლოყაშვილი.

თუ იქ, მარაბდის მიწაზე, ის 9 ათასი გული ძგერს,
 დღესაც სჭირდება სამშობლოს ის 9 ძმა ხერხეულიძე.

ხეალაც იქნება საჭირო გული და მკლავი მაგარი,
 არაგველები 300 და ვაჟაცებიც სხვა გვარის.

და ღმერთმა ნუ ქნას ნურასდროს (მტერი რას ნახავს
 უკეთესი),
 ქართველი დედა აკვანს და მამულს გულგრილად
 უმზერდეს.

შეილების ყოლას სმა-ჭამა და გალადება არჩიონ,
 ალგეთს გაზრდილი ბიჭები დედის რძეს გადააჩვიონ.

ო, ღმერთმა ნუ ქნას, სამშობლოს მათი კალთა არ ფარავდეს,
 ქართველი დედა არ ზრდიდეს წავცისელსა და მარაბდეს.

ჩვენი ჯიში და ჯილაგი ქვეყნად იქნება მანამდის,
 სანამ ივლიან ბიჭები გაზრდილნი „იავნანათი“.

და ჩვენი ბედოვლათობით თუ ბეჭვის ხიდთან მივედით,
 ქართვლის დედებო, თქვენა ხართ ისევ სამშობლოს იმედი!

2007 წ., აპრილი

ქართული ხიტყვა და ხისხლი, უცხო მიწაზე დაღვრილი,
ღმერთს ავედრებდა სამშობლოს, მამულზე ლოცვით
დაღდებილი.

ვაგლახ! რამდენი შორს დაგვრჩა მოსალოც-მოსაფერები,
სახელები და საფლავი ჩვენი მონაზონ-ბერების.

ვინც იქ ლოცვით და კურთხევით ქვეყნის ბედ-ილბალს
ქვერავდა,
ვისაც სამშობლოს სახელი ტანს ეცვა ჯაჭვის პერანგად,
ვინც უპატრონა ქართულ წიგნს, დახისხლულ
ქორონიკონებს,
მათ სახელს დედასამშობლო არ ივიწყებს და იგონებს.

არ ივიწყებს და იგონებს, ადიდგულებს და ახარებს,
ვინც დღესაც უცხო მიწაზე მამულზე ფიქრით აღმებს.

ვინც უცხო ცის ქვეშ არ იშლის მამულზე ფიქრს და
ოცნებას,
ვინც იცავს თავის ხალხის და სამშობლოს პატიოსნებას,

ვინც ღმერთისა და მამულის ლოცვა-ვედრებით იღლება,
მიხივის სამშობლოს კარი და სამოთხის კარიც იღება.

2007 წ., აპრილი

* * *

არის დალატი და არის ცოდვა
ის, რაც სამშობლოს მიწას არ რჩება,
როცა ქართველის ნიჭი და ცოდნა
საქართველოსთვის არ იხარჯება.

2007 წ., 0360ხ0

* * *

ასე მჯერა და ვიწამე,
ადარ მჭირდება მტკიცება,
სიცოცხლე დედამიწაზე
ჩემი ხოფლიდან იწყება.

ადარ მჭირდება წამითაც
არც იმის ფიცი, მტკიცება,
რომ ჩემთვის ეს დედამიწაც
საქართველოდან იწყება!

2007 წ., 0262არ0

* * *

დგება ჟამი ბოლმიანი,
როცა ქვეყნის დალატია,
ცბიერების დოლი არი,
თაღლითების პარადია.

შენ რომ სანდოდ გეგულება,
იქაც შური, ღალატია...
ვაგლახ! ჯილდოდ ერთგულების
ხშირად გიჟის ხალათია.

2007 წ., 01ნვანი

* * *

არც კაცი ვარგა უმტერო
და გულს ბოლმით არ ვიგხებდი,
დე, იყოს მტერი, ოდონდაც
მტრობად რომ დირდეს, ისეთი.

2007 წ., 03თებებები

* * *

ხომ იდგა საქართველოში
გაენ-იუდას ცოდვა,
ბევრი ხომ ვერცხლზე ფიქრობდა,
საქართველოზე – ცოტა.

ვაგლახ, რომ დღესაც რამდენი
ქვეყნის წინაშე სცოდავს,
ბევრი ფულისთვის იბრძვის და
საქართველოსთვის – ცოტა.

2007 წ., 03იან

* * *

იყო დრო, როცა ბრიყვი კაცობდა,
 სინდის-ხამუში ძენძად უყარა,
 როდესაც ძაღლი პატრონს არ ცნობდა
 და არც პატრონი ჰყავდა ქვეყანას.

ისეთ დროსა და ქვეყანას ვნატრობ,
 რომ ადარ ვიგრძნოთ თავი მარტონი,
 რომ ძაღლი ადარ უყეფდეს პატრონს
 და ქვეყანასაც ჰყავდეს პატრონი.

2007 წ., ოქტომბერი

სახელის მოვნა გახდა აღვილი

ვაგლაბ! ფულით და გაიძვერობით
 სახელის შოგნა გახდა ადვილი,
 ვაჟკაცობას და სიბრძნეს იჩემებს
 ბევრი სულელი და აეარდნილი.

დღევანდელობა, ვხედავთ, რაც არის,
 მთავარი არის ხეალის დანახვა,
 თორემ ბევრ სახელს გაუვა ყავლი
 და ბევრის სახელს წლები დამარხავს.

მაგრამ არ ქრება სისხლი და ოფლი,
 მამულისათვის ნაბრძოლ-ნაშრომი.
 სამშობლოს რჩება სახელი მხედლოდ,
 კაცობითა და ომში ნაშოგნი.

2007 წ., გაიხ

ბევრჯერ გამტყდარი და გაბზარული,
 ვეღარ აკუთხბს გული არჩევანს,
 ხომ არ გაგრძელდა ჩემი მგზავრული,
 წასვლა ჯობია თუ აქ დარჩენა.

ბოლოს არც წასვლა დამენანება,
 ხომ ყველამ ვიცით, ბოლო რაც არის,
 მაგრამ სხვა არის ჩემი წამება,
 ჩემი წუხილი დღეს სულ სხვა არის.

და დაძრწის სული მიუსაფარი,
 მიჭირს ამგვარი ფიქრის მიხვევა,
 სიკვდილის შემდეგ ჩემი საფლავი
 უცხოთა მიწად ხომ არ იქცვა.

აღარ მცილდება ფიქრი ამაზე,
 ამაზე ვფიქრობ ახლა მხოლოდ მე,
 ქართველად მოგვდე ამ ქვეყანაზე
 და ქართულ მიწად დავრჩე ბოლომდე.

2007 წ., საქართველო

* * *

ის დღე სამშობლოს დალატს ჰგავს,
 როცა შურს მამულს ვანაცვლებთ,
 როცა ქართველი ქართველს კლავს,
 ქართველი ქართველს ამარცხებს.

ის დღე სამშობლოს დალატს ჰგავს,
 ის „გამარჯვება“ – სილაჩრეს,
 როცა ქართველი ქართველს კლავს,
 კაენის სული იმარჯვებს.

მტერი ამაოდ არ ცდება,
 როცა ვერცხლს მამულს ვანაცვლებთ,
 ხომ საქართველო მარცხდება,
 როცა ერთმანეთს ვამარცხებთ.

როცა იუდა გვაქეზებს,
 ვხედავთ სამშობლოს გათელილს,
 ადარ არსებობს ქართველზე
 გამარჯვებული ქართველი.

2007 წ., 01ნვარი

* * *



არ მჭირდება სხვა რამ განძი,
ოქრო-ვერცხლი და არც ჯილდო,
ჩემი წილი ქვეუნის ტვირთი
მინდა სიკვდილამდე ეზიდო.

მინდა, სანამ სული მიდგას,
სანამ მკერდში გული ფეთქავს,
ქართულ ლექსის სიყვარული
უდელივით ქედზე მედგას.

მინდა, ერთი საფიქრალი
და ოცნებაც ერთი მქონდეს,
სამშობლოს და ქართულ სიტყვას
ვუფერო და ისე მოვკვდე.

2007 წ., თებერვალი

* * *

ჩემი ბებერი სიცოცხლე
თუ სიკვდილს კვლავ ეჭიდება,
სიცოცხლე ისევ ლექსისთვის,
სამშობლოსათვის მჭირდება.

2007 წ., მარტივი

* * *

წუხილით და დარღითა ვარ, მართლაც, სავსე ყელამდე,
 ვხედავ, გარდა სიცოცხლისა, ფასი ადგვს ყველაფერს.

და მაშინებს საფლავების შორით თვალის შევლებაც,
 გახვრეტილი ჯიბის პატრონს, ღმერთო, რა მეშველება,

თუ უფროდ ვერ ვიშოვე მკვდარმა თავშესაფარი,
 სანატრელი თუ გამიხდა ჩემი მიწის საფლავი.

2007 წ., თბილისი

მეო ქნეა 280ლ ჩემი ჭაპანი

ჩვენ რომ ბედსა და იღბალს ვეძახით,
 გაგორებას ჰგავს თურმე კამათლის
 და არ მთავრდება ამ ქვეყანაზე
 სიკვდილ-სიცოცხლის ბეჭდი კამათი:

მთავარი არის, აქ რას დატოვებ,
 თორემ იმ ქვეყნად ვინ რას წაიღებს.
 ამაოცბა და სიმარტოვე
 იგონებს წლებს და ლამაზ თარიღებს.

ისიც ხომ ვიცით, ამას ყველაფერს
 როცა ქამი და წლები გადაშლის,
 ისევ იწყება ცოდვილ მიწაზე
 სიკვდილ-სიცოცხლის ბეჭდი თამაში.

შეც უნდა ვზიდო ჩემი ჭაპანი,
 სანამდე ტყვე ვარ მიწის კარიბჭის,
 სიკვდილამდეა ძნელი გაძლება,
 თორემ სიკვდილის შემდეგ რა მიჰირს.

2007 წ., თბილისი

დედა – მინა

ვარიაცია თემაზე:
 „ჩვენს პლანეტას უცხო მეტეორი უახ-
 ლოვდება და განადგერებით ემუქრება“.

I.

რა დროს სახის და კანის ფერია,
 რისი აფრიკა, რისი აზია,
 ეს ევროპა და ის ამერიკაც
 ხომ დ ე დ ა – მიწის სილამაზეა.

ბოროტი სული – ის მეტეორი
 თუ ემუქრება ჩვენს დედამიწას,
 რა დროს მტრობაა ერთიმეორის,
 ჩვენ დ ე დ ა – მიწა უნდა დავიცვათ.

II.

ვერ გამოვდექით კარგი პატრონი,
 დამის ეშმაკთან პირი შეგუარით,
 წყალბადისა და ბომბით ატომის
 გვაქს დ ე დ ა – მიწა წკიპზე შემდგარი.

თუ ქვეყნის ბედი ასე წავიდა,
 საშინელია თვით გაფიქრებაც,
 ერთი პატარა ნაპერწალი და
 ეს დ ე დ ა – მიწა აღარ იქნება.

III.

ახალგაზრდები სანამ ვართ,
 ცაში ხეტიალს ვუნდებით,
 დავძერდებით და ყველანი
 დ ე დ ა – მიწაზე ვბრუნდებით.

როდესაც სასომიხდილნი,
 საფლავს შევრჩებით მარტონი,
 სიკადილის მერეც არ გვტოვებს,
 ის არის ჩვენი პატრონი.

და სანამ ცაში დავფრინავთ
 ოცნებით ფრთაგაშლილები,
 გვახსოვდეს: მკადრებიც, ცოცხლებიც
 ვართ დ ე დ ა – მიწის შვილები.

2007 წ.

ნას ხომ პრა აქვს საგლვარი

ცას ხომ არა აქვს საზღვარი
 და მიმოფრენენ ჩიტები,
 ამ ცოდვილ დედამიწაზე
 ჩვენც ხომ ერთმანეთს ვჰირდებით.

ნეტავი ჩიტად მაქცია,
აღარ ვივლიდი უმიზნოდ,
შემოვუფრენდი ქვეყანას
უპასპორტოდ და უვიზოდ.

2007 წ., გარტი

მგის ამოსვლა საქართველოში

„ამოდის, ნათდება“
გამა-გვაგველა

თუმც დათვი კვლავ იღრინება,
საქართველოზე გამწყობლი,
ჩრდილოეთის მზით დამზრალი
იღვიძებს მიწა და წყალი.

დანახება ცისკრის ვარსკვლავის,
ო, ღმერთო, რა საამოა,
მალე მზე თავისუფლების
საქართველოშიც ამოვა!

2007 წ., აპრილი

* * *

ჩანს, უდება ბოლო ლოდინს
 და იმედებს კარებს ვუღებთ,
 უფლის ნებით, სხვა დრო მოდის
 და ვიცილებთ მონის უდელს.

საქართველო, წესით, რიგით,
 სამეცნიერო ყველას იწვევს,
 მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, იგი
 ისევ სხვათა მონად იქცეს.

2007 წ., რეზომის მიზანი

როცა შევდივართ „ევროში“

როცა შევდივართ „ევროში“ და ქვეყნის თვალში
 ვდიდდებით,
 მატულობს საქართველოში დარიბები და მდიდრები.

თუმცა არ არის ადვილი, ხომ უნდა ითქვას საოქმედი,
 ხომ არ კლებულობს ნამდვილი, პატიოსანი ქართველი.

ქართველი ხალხის სისხლ-ოფლით როცა მდიდრდება
 მავანი,
 ხომ არ აკლდება სამშობლოს 9 მმის და ცოტნების აკვანი.

უცხო ფერი რომ უდება ჩვენს იმურსა და ამიურს,
 ხომ არ აკლდება ხმა-კილო „ლილებს“ და „მრავალეამიერსს“.



დედაქანის რომ იწუნებს და მეხოტებება სხვა ენის, უკრაინული
ქართველი ენის დალატით ხომ არ მდიდრდება კავნი.

ქვეყნის და ერის დირსება როცა სასწორზე იდება,
საქართველოში იუდა, ეტყობა, მაშინ მდიდრდება.

აღარ არსებობს ამქვეყნად სიმდიდრე არავითარი,
შენი ხალხი და სამშობლო თუ არ იქნება მდიდარი.

თუმც მტრებმა ბევრჯერ ისურვეს, ვერა, ვერ მოგვითარეშეს,
ან საქართველო ვინა თქვა ქართველი კაცის გარეშე.

ლვოისმშობლის მადლი მოგვყება, არა ხამს თვით
გაფიქრებაც,
რომ საქართველო მოკვდება, ქართველი აღარ იქნება.

წინაპარი რომ მღეროდა, ის არის ჩემი სათქმელიც,
იქნება საქართველო და მარად იქნება ქართველიც.

2007 წ., 03 მაისი

„ებრე არ არის, პახალ, შენ რომ მამული გაყალ!“

„ყველაფერი უნდა გაიყიდოს, სინდისის გარდა“.
ძაბა ბენდურიძე

ის მწერალთა ხასახლებ და...

მგლოვიარე მთაწმინდა,
ხომ არ ნიშნავს ერის დალატს და სინდისის გაყიდვას?

გაყიდული ტყე და მიწა – ხოხობი რომ აფრინდა,
ხომ არ ნიშნავს ისტორიის და სინდისის გაყიდვას?

იმ კოშკების გასხვისება, მტრის წინ თავს რომ არ ხრიდა,
ხომ არ ნიშნავს ეს ღირსების და სინდისის გაყიდვას?

მათხოვრებით სავსე ქუჩა, მშიერი რომ აყვირდა,
ხომ არ ნიშნავს შენი ხალხის და სინდისის გაყიდვას?

რომ არ ლაღობს ქართვლის დედა დღეს შვილების აკვნითა,
ხომ არ ნიშნავს ეს მომავლის და სინდისის გაყიდვას?

წინაპართა სახელების ხსენება რომ არ გვინდა,
ხომ არ ნიშნავს საქართველოს და სინდისის გაყიდვას?!

2007 წ., ხელშემსრულებელი

306 როდის ჩაირეცხვება

ვერავინ იტყვის წინასწარ, ხვალინდელი დღე ვისია,
უფალმა უწყის მარტოდენ, ქვეყნად ვინ რისი ღირსია.

ქარგიც და ავიც სამშობლოს დაუნახავი არ რჩება,
მისი ნებაა, ამქვეყნად ვინ წავა და ვინ დარჩება.

ქვეყნად ვინ რისი ღირსია, დრო გააკეთებს არჩევანს,
ვინ როდის ჩაირეცხება, ვისი სახელი დარჩება.

ვინც დღეს ლაღობს და ხალისობს, იქნებ ცოცხალი
მკვდრებია,
ქათ ყმები კი ქვეყნისთვის საფლავიდანაც დგებიან.

ვინც სულს იუდას მიჰყიდის, სამშობლოს ღალატს ჭრილობისა
არ არის სალაპარაკო, ნამდვილად ჩაირეცხება.

მაგრამ ვინც თავის ხალხისთვის, მამულისათვის დაშვრება,
სიკვდილი არ უწერია, სამშობლოშივე დარჩება.

ვინც გადაჲვება სმა-ჭამას, ქვეყნისთვის აღარ ეცლება,
ქვეყნის ურგი და ურგები, უდავოდ, ჩაირეცხება.

ვერვინ წაუვა ამქვეყნად ერის და ბერის განაჩენს,
უნდა ქვეყნისთვის იცოცხლო, თუ გსურს ცოცხალი
გადარჩე.

წინასწარ ნურვინ ნუ იტყვის, წინასწარ ნურვინ ეცდება...
არავინ იცის, ამქვეყნად ვინ როდის ჩაირეცხება.

2007 წ., 03 დეკემბერი

ელიტა

თავისი ქვეყნის მინდორ-გელს ხისხლით და ოფლით ვინც
რწყავდა,

ვინც შეეწირა სამშობლოს და იქცა ქართულ მიწადა,

ვინც დღეს საფლავშიც ამაყობს თავის ერით და ბერითა,
ის არის ქვეყნის რჩეული და საქართველოს ელიტა.

ის, ვინც ცხადში და ხიზმარში სამშობლოს ეფერებოდა,
ვინც არ აქრობდა ნაღვერდალს და „იავნანას“ მდეროდა,

ვისაც 9 შვილის აკვანი არ გაუშვია ხელიდან,
ის არის ქვეყნის პატრონი და საქართველოს ელიტა.

ვაგლაბ! დღეს ბევრი რომ ლადობს და თავს ელიტად
ასაღებს,
სამშობლო არის ზოგისთვის სმა-ჭამა, სრა და სახახლე.

მაგრამ ვინც თავის სამშობლოს ცოცხალი თავით
არ ყიდის,
სახრჩობელაზე ადის და იუდას ვერცხლთან არ მიდის,

ვინც ქვეყნის უდელს კისერზე ლაბა ხარივით დაიდებს,
კრწანისთან ვინც იმაჩაბლებს, დიდგორთან ვინც იდავითებს,

ვისაც სამშობლოს სვე-ბედი და მომავალი აღელვებს,
ვინც არ ივიწყებს არც წარსულს, არც წინაპართა სახელებს,

ვინც ქვეყნის მტრებს და ორგულებს კარგად ხედავს და
არჩევს დღეს
და მახვილივით აშიშვლებს: კალამს, ფუნჯხა და
საჭრეთელს,

ის, ვინც ამაყობს რუსთველით და ხარობს ქართულ ენითა,
იყო, არის და იქნება მუდამ სამშობლოს ელიტა!

2007 წ., ოქტომბერი

* * *

რას ველოდი და რას ვიმკი,
მწარე ფიქრებს გულს ვერ ვაჩვევ,
იმედის და რწმენის სიკვდილს
უმალ ტყვიით სიკვდილს ვარჩევ.

და გაბზარულ გულს და ფიქრებს
ისევ ხვალის რწმენით ვათბობ,
ვეჭიდები მაინც იმედს
და ცოცხალი თავით არ ვთმობ.

2007 წ., აბვისტო

* * *

სხვაგან არ ვიცი რა ხდება,
რა კანონი და წესია,
საქართველოში სამშობლო
ლექსის ძირი და ფესვია.

ჩვენში პოეტის ღირსება
მამულის ნებით მოწმდება,
ანთეოსივით მოკვდება,
თუ მშობელ მიწას მოხწყდება.

2007 წ., გარტი

პრეზი

თუმცა პოეტი გიჟია ბევრი სულელის თვალში, –
პოეტი დმერთის მაცნეა, პოეტი – დიდი ბავშვი,
ნაღდი სიტყვა და სტრიქონი, მჯერა, იწყება ციდან,
თვით დმურთი იყო პოეტი, როცა სამყაროს ქმნიდა.

2007 წ., 01 ნოემბერი

შინაგანი გალაკტიონები

ბევრი გვირგვინი და ბევრი დაფნა
წაიღო ქამთა და წლებმა დაფლა.

ბევრი დიდება და ძეგლთა წყება
წაიღო დრომ და დამარხეს წლებმა.

ის კი, ის არის დღეს ერთადეკრთი,
ქართული სიტყვის და ლექსის დმერთი,

ვინც კვლავ მოარღვევს წლებს და უკუნეოს,
მოაქვს თავის დრო
და საუკუნე.

2007 წ., 01 ნოემბერი

* * *

ეს ცხოვრება არის ფარსი,
 ფარსი არის ოცნებაც,
 როცა ადევს ჩაღის ფასი
 ნიჭება და პატიოსნებას.

თვით სიცოცხლეც არის ფარსი
 და ამაოდ ირჯება.
 როს არ ადევს ჩაღის ფასიც
 კაცობას და ლირსებას.

2007 წ., მარტი

* * *

გავუძლებ ყველა ჭირსა და ვარამს,
 სიავეს: მტრობას და დუხტირ ყოფას,
 მაგრამ სიკვდილზე უფრო მაშინებს
 უსამშობლოდ და ულექსოდ ყოფნა.

2007 წ., მარტი

* * *

როცა ქარგ ლექსებს ვკითხულობ
 და გულით ვეალერსები,
 ვატყობ, სიცოცხლეს მმატებენ
 ქარგი პოეტის ლექსები.

საცოდავია ის კაცი,
ვინც არ იცის და არ ესმის, –
რა არის საქართველოსთვის
გარგი პოეტი და ლექსი.

2007 წ., ღამის მდგრადი

* * *

ის ვინც სიბერებს დასცინის,
მისი ლირსება მოკლდება,
საცოდავია მხოლოდ ის,
ვინც სიკვდილამდე მოკვდება.

ვაი, ვინც ისე იცხოვრებს,
რომ დაბერების შერცხვება,
ან კიდევ არ დაბერდება
და ისე ჩაირცხულება.

2007 წ., ღამის მდგრადი

* * *

კარგად ვხვდავთ ბევრის სურვილს,
როგორ ჭრიან

ანდა

როგორ წონიან.

ბევრს სავარძლის სიყვარული –
საქართველოს

სიყვარული

პირნია.

ბოლოს ვხვდებით ბევრის სურვილს,
რა სურვილი,

რა წადილი

პქონიათ,

ბევრს რომ ფულის სიყვარული –
თავის ხალხის

სიყვარული

პირნია.

2007 წ., ოქტომბერი

სეღის ტკიზოლი

ყველას თავის წუხილი აქვს, ყველას თავის ტვირთი მიაქვს,
 ვაგლახ! ბევრი ცოცხლობს, მაგრამ ზოგს ცოცხალი არც
 კი ჰქმია.

არც მე ვიცი, ვინ ვარ, რა ვარ, რა ვიქნები ან რა მელის,
 და დღეს სული, სული მტკივა, რადგან მიწა სულს არ
 შველის.

არც იმედი არ მაქვს ხვალის, დარჩენის და სულის ხსნისა,
 ხიცოცხლეა მხოლოდ წყალი, თუკი აღარ დარჩა ქვიშად.

რა მტკივა და რა მაწუხებს, აღარ იცის სულმა განა?
 ვერაფერი ვერ შევმატე ჩემს ხალხსა და ჩემს ქვეყანას.

ეს წუხილი ტანჯვად მექცა და ცოცხალი სანამ კი ვარ,
 შევდაღადებ ღმერთს და ზეცას:

სული, სული, სული მტკივა.

როცა სული, სული მტკივა, როცა სული ბორგავს, კივის,
 ვატყობ, მხოლოდ ლექსი შველის ჩემს წუხილს და სულის
 ტკივილს.

და ვაღმერთებ ქართულ ხიტყვას, მე სხვა პატრონს არც
 კი ვნატრობ,
 ისიც ვიცი, ამ ტკივილით, ამ წუხილით არ ვარ მარტო.

ისიც ვიცი, ცოტა იგებს ტკივილსა და წუხილს სხვისას,
 თუმცა მიწის შვილები ვართ, იმედით ვართ მაინც ცისა.



მე მსაჯული არ ვარ სხვისი, მაინც კიტყვი, სანამ ქართველი მეცოდება ყველა, ვისაც

სული, სული, სული ხტკივა.

2007 წ., ნოემბერი

თუ შენი ქვეყნის ერთგული გქვია

„დაჯექ, დასწერე, დახატე“.
პარლო იაგვაძე

თუ სისხლი გიდუდს პოეტის, „დაჯექ, დასწერე, დახატე“, სიბოროტეს და სიბილწეს საჯაროდ ფარდა ახადე.

ნუ შეგაშინებს ნურავინ: ჭორით, სიავით, მუქარით, სიცრუეცა და სიმართლეც ყველას ამცნე და უთხარი.

არ გატყდე და არ დაეცე, თავი არ ჩარგო სილაში, იყავი ცამდე მართალი შენი სამშობლოს წინაშე.

თქვი და მიაგე კუთვნილი იღბლიანსა თუ უიღბლოს, ვინც განვლო წუთისოფელი ნიღბებითა და უნიღბოდ.

ვინც ქვეყნის უდელს და ჭაპანს ეზიდებოდნენ მარტონი, ვინც იყო ქვეყნის დამქვევი, ვინ კიდევ – ქვეყნის პატრონი.

თუ მართლა გქვია პოეტი, „დაჯექ, დასწერე, დახატე“ და შენი დრო და დღეები ხვალის სამხავროდ გახადე.

თუკი განგების წყალობით პოეტის ბედი გედირსა, იყავი მემატიანე შენი ხალხის და ქვეყნისა.

2007 წ., ნოემბერი

ო ღ

2006

წელი

ო ღ

სამშობლოს პალი

„ეპლი დიდია მშობლების და ახლობლების
მიმართ, სამშობლოს მიმართ კი – უდიადესი“. –
გიგერონი

სამშობლო თუ გვაქვს, არ ვართ ობლები,
სამშობლო არის ჩვენი მესია,
თუმცა დიდია ვალი მშობლების,
სამშობლოს ვალი – უდიდესია.

დედასამშობლო – ეს ხომ დედაა
ცოცხლებისა და ჩვენი მკვდრებისაც.
სიკვდილმა მისვლა ვეღარ შეძედა,
მისთვის სიცოცხლე ვისაც ეღირსა.

ადარ სჭირდება ფიქრი არჩევანს,
პირდაპირ უნდა ითქვას სათქმელი,
უსამშობლო კაცს ქვეყნად არ რჩება
არცა საფლავი და არც სახელი.

და თუ არ ვუნთეთ სანთელ-საკმელი,
არ დავიცავით მისი ღირსება,
ვის დასჭირდება ქვეყნად ქართველი,
თუ საქართველო აღარ იქნება.

ვის დასჭირდება ენა ქართული,
ალგეთის ლეკვებს ვინ გაახელებს,
ვინ, ვინ დაიცავს, ვინ უპატრონებს
ჩვენს წინაპართა საფლავ-სახელებს.

არც ლეგენდაა და არც ზღაპრები,
საშინელია თვით გაფიქრებაც,
არც ჩვენ ვიქნებით, არც წინაპრები,
ჩვენი სამშობლო თუ არ იქნება.

და თუ დასჭირდა მამულს ძალიან,
სიკვდილ-სიცოცხლის ჟამი დადგება,
უპირველესი ჩვენი ვალია
სამშობლოსათვის თავის დადგება.

2006 წ., 03ლიხი

* * *

„რა ქართველი ხარ“.
ლადო ასამიანი

„რა ქართველი ხარ“? ვინა ხარ, უფლის გზას ვინ გაგინათვებს,
თუ ერთხელ მაინც თევდორე ბერის სახელს არ ინატრებ.

თუ ვერ მიხვდები, რას ნიშნავს, როდესაც ჟამი დადგება,
პაატას თავი მოჭრილი, ქვეყნისთვის თავის დადგება.

თუ ადარ მოგენატრება ნახვა ალგეთის, მარაბდის,
არ მოგინდება წაკითხვა „ვეფხვის და მოყმის“ ბალადის.

„რა ქართველი ხარ“? ვინა ხარ, ამქვეყნად რისთვის
იარე,
თუ სვეტიცხოვლის დანახვა ტანში არ გაგაურიალებს.

თუ აღარ გაგადიდგულებს ალავერდი და ვარძია,
თუ ვერ მიხვდები, მთაწმინდა რა სიმდიდრე და განძია.

თუ წამლად არ დაედები შენი სამშობლოს იარებს,
თუ შოთას „ვეფხისტყაოსანს“ დროშად არ ააფრიალებ.

„რა ქართველი ხარ“? ვინა ხარ, სიცოცხლეს რაღა
ფასი აქვს,
თუ ისევ აღარ ინატრებ დიდგორის ველს და ბასიანს.

ის კრწანისი და კოჯორი თუ შენს გულს აღარ დანაღმავს,
თუ რწმენით აღარ აგაუხებს დავითის ფრესკის დანახვა.

თუქი „ლილე“ და „მხედრული“ ფეხზე არ წამოგაყენებს,
თუ სანთლებს აღარ აუნთებ დიდ წინაპართა სახელებს,

თუ არ გაგიძლვა ჩირაღდნად შენი სამშობლოს ნათელი,
ათას წელსაც რომ იცოცხლო, ვეღარ იქნები ქართველი!

2006 წ., 08 ნოემბერი

შემართველობის მინისტრი

ზურაბ გაგიანიშვილი

ქორონიქონს გზას ბევრჯერ აურევს
ქართული ენა, სიტყვა, ანბანი,
ახლავს დევთის მაღლი და ცის აურა
ჩვენი სისხლით და ცრემლით განბანილს.

ჩვენი ყოფის და ყოფნის საწყისი,
 ლეგენდებად რომ მოგვყვა აქამდე,
 თურმე იყო ის ოქროს საწმისი.
 დასაბამიდან რომ ვინახავდით.

გამოაღწია წლებს და უკუნეოს
 და საქართველოს ზეცას უგალობს.
 ვეალერსები დღეს იმ ჩუქურთმებს,
 მე რომ მეგონა ქვები უბრალო.

ბევრ საოცრებას კიდევ ვიხილავთ,
 დრო ისტორიის მტვერს რომ გადაშლის,
 განმი ყოფილა თურმე ბიქილა,
 ჩვენ რომ გვეგონა მხოლოდ თამაში.

არის დროის და წლების განდობა,
 დრო საიდუმლოს ხელს არ აფარებს,
 ასე მგონია, მკვდრეოთ აღდგომას
 იწყებს ქართული ენა – ლაზარე.

ცაში ოცნებით დავეხეტები,
 გულში იმედი უფრო დიდდება
 და მელანდება ძველი ხეთები,
 ქართული ენის ძველი დიდება.

ანქის, ქიანას, ხალდეს, ხუბერის*
 ღმერთმა გაჩენა რაკი იხება,
 მე მელანდება ძველი შუმერი
 და საქართველოს კვლავ გაბრწყინება!

2006 წ.

* ანქი, ქიანა, ხალდე, ხუბერი – როგორც ბევრი სხვა, ეს სიტყვებიც
 შუმერულ და ქართველურ ენებში ერთნაირი მნიშვნელობისაა.

მათი სახელი

ეძღვნება პოზიტიუნის პრძოლაში
დარგულობა ხეოვნების

მათი სახელი ვერც წლებმა, ვერც ბალახებმა დაფარებს:
სცილდება ეკალ-ბარდები ერთ დროს დაკარგულ
საფლავებს.

მათი სული და სიცოცხლე საფლავში ვეღარ ისვენებს,
უბრუნდებიან სამშობლოს და ცოცხლდებიან ისევე.

და ცოცხლდებიან ისევე უღვთოდ მოჭრილი ფესვები,
დავიწყებული სახელი, სიმღერები და ლექსები.

როცა კაი ყმის სახელი რჩება სამშობლოს ბოლომდე,
არ უწერია დიდი დღე სიბილწეს და სიბოროტეს.

კაენისა და იუდას სასჯელი ისე დიდია,
არ ბრუნდებიან არასდროს, იმ ქვეყნად ისე მიღიან.

მაგრამ გმირებმა კოჯორის, 9 აპრილის თუ მარაბდის
სამშობლოსათვის სიკვდილით სიცოცხლე გაიმარადეს.

ვინც სამშობლოსთვის იცოცხლებს, მისი ოფლი და
სისხლია,
ის საქართველოს შვილია და საქართველოც მისია!

2006 წ., ოქტომბერი

კენაცვალე მე 08 ქართველს

ვენაცვალე მე იმ ქართველს,
 ვინც არ აკლებს მამულს სიოთბოს,
 ვინც იმედით დამეს ათევს
 და ხეალინდელ დღეზე ფიქრობს.

ტკივილს, შიმშილს იტანს უხმოდ
 და სანაცვლოდ არას ითხოვს,
 ვინც საკუთარ თავზე უფრო
 საქართველოს ბედზე ფიქრობს.

ვინც ოფლის და სისხლის ნაცვლად
 ჯილდო-ტიტულს აღარ ელის,
 ვინც ბოლომდე რჩება ქაცად
 და იმედი არის ერის.

ვენაცვალე ყველა ქართველს,
 მამულისთვის ვინც კი ფხიზლობს,
 ვინც ოცნებით დამეს ათევს
 და სამშობლოს ბედზე ფიქრობს.

2006 წ., გაიხო

ის არის ნაღდი ქართველი

ნეტავ, რად უნდა ვაჭებდეთ, ანდა ტაშს რატომ ვუპრავდეთ,
საქართველოში ქართველ კაცს საქართველო რომ უკვარდეს.

ის არის ნაღდი ქართველი, ვინც კვლავ იმედით იცდიან,
ვისთვისაც ენა წინაპრის სალოცავი და ფიცია,

ვინც ახლაც უცხო ფიქრებში, გარემოში თუ ყოფაში,
არ ივიწყებენ სამშობლოს არქაბალსა თუ ხოფაში*.

თორემ მე ვინ ვარ, აქ მყოფი (თუკი სამშობლო მიკადრებს),
აბა, რა საქებარი ვარ, საქართველო რომ მიუკვარდეს.

ის არის ნაღდი ქართველი და მართლაც ქების ღირსია,
თუმც არ უნახავთ სამშობლო, მაგრამ ოცნებით იციან.

და დღესაც უცხო მიწაზე ანთია, როგორც სანთელი,
საქართველოზე მლოცველი ფერეიდნელი ქართველი.

2006 წ. 03 მაისი

*არქაბალსა და ხოფაში ლაზები ცხოვრობენ.

000ლებს ბორკილებს

კრწანისი, მარაბდა იმედით ივხება,
 ნათელი ადგება დიდგორს და ბახიანს.
 ისევ ფეხზე დგება სამშობლოს დირსება,
 დღეს თავისუფლებას სიცოცხლის ფასი აქვს.

დღეს არაგველები ჭრილობებს იხსნიან
 და თავისუფლების ცისკარი იდება,
 დღეს რქაწითელი და ხვანჭქარაც სისხლია,
 საქართველოსთვის რომ იბრძის და იღვრება.

გვესმის წინაპართა ხმები და ძახილი,
 დღესაც რომ გვაბრძოლებს, სულია იმათი,
 და წმინდა გიორგის ჯვარი და მახვილი
 ისევ წინ მიგვიძლვის ფარად და იმედად.

სრულდება დრო-უამი ტანჯვის და წამების,
 დარდად და წუხილად გულზე რომ გვეყარა,
 შიმშილით, წუხილით, ტკივილით, წვალებით
 იმარჯვებს დვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა.

თავდება დრო შიშის, ლოდინის, გამოცდის,
 ამ დღეს საქართველო იმედით უცდიდა.
 იცილებს ბორკილებს, ბნელიდან გამოდის,
 როგორც ამირანი – ვეშაპის მუკლიდან!

2006 წ., გაიხი

* * *

ჩემი სურვილი ასეა მოკლედ:
 სანამ გული ძგერს, უნდა დავიცვა;
 სამშობლოსათვის კი აღარ მოვკვდე,
 სამშობლოსათვის უნდა დავიწვა.

2006 წ., 03 ნოემბერი

მეც რეზერვისტად ჩამოვალები

დღეს, როცა ყველა კაი ყმა აბჯარ-მუზარადს იფერებს,
 „ჸაი, დედასა მტრისასა“, რა დროს მეწვია სიბერე.

მაგრამ ჩვენში ხომ ქართველ კაცს არც სიბერისთვის
 სცალია,
 ქვეყნისთვის ფეხზე დადგომა ყველა ქართველის ვალია.

რისი წლები და ასაკი, თუკი სამშობლოს დასჭირდა...
 მოხუცი მევე ერეპლეს მახვილი განა არ ჭრიდა?!

როცა მამული გეძახის, შორით ყურება ძნელია,
 მეც რეზერვისტად ჩამოვალეთ, სიბერე რა სათქმელია.

როცა სისხლ-ოფლი სჭირდება სამშობლოს თავისუფლებას,
 საქართველოში ქართველ კაცს არ აქვს სიბერის უფლება.

2006 წ., 28 ნოემბერი

კოდორის ხეობა

ცერზე არის შემდგარი დღეს კოდორის ხეობა,
საქართველოს სიმტკიცე, იმედი და მხენეობა.
სვანი კაცის გულივით ამაყი და მართალი,
საქართველოს გასცემის, როგორც მთავარსარდალი.

2006 წ., 03 მარტი

ცოცხალია თუ მკვდარია

„მკვდარზე ან კარგი უნდა თქვა, ან არაფერი“.
არმის პეტრი გამოიშვა

თუ კარგზე კარგი არა ვთქვით და ცუდს ცუდი არ ვუწოდეთ,
ვინდა გაარჩევს ამქვეყნად ცოდვილიანს თუ უცოდველს.

ცოცხალია თუ მკვდარია, თუ არ ვამხილეთ ბოლომდე,
მაშინ რა ფასი ექნება ხიკეთეს ან სიბოროტეს.

მაშინ რა ფასი ექნება ამ წუთისოფლად გაჩენას,
თუ არ იქნება ამქვეყნად კარგის და ცუდის გარჩევა.

ცუდ კაცზე, როცა მოკვდება, თუკი არაფერს იტყვიან,
მაშინ რა ვუყოთ ჯიხაშკარს ან წიწამურის იმ ტყვიას.

რა ვუთხრათ მართალ ილიას ანდა ქუთევან წამებელს,
რა ვუყოთ საქართველოში იმებს დალატით წაგებულს.

სივერაგეს და სიბილწეს თვალს და ყურს თუკი მივაჩვენეთ,
მაშინ რა ფასი ექნება სიმამაცეს ან სილაჩრეს.

ცოცხალია თუ მკვდარია, სიავე თუ შევარჩინეთ,
რაღა გამოლევს ამქვეყნად ბალვაშს და ბერბიჭაშვილებს.

წავლენ და იქაც გაჰყვებათ თავის ამბრი და ამბარი,
სიკვდილი სულაც არ არის ვინმესთვის თავშესაფარი.

სამართალმა და სიმართლემ უნდა თავისი სიტყვა თქვას,
უნდა მკვდარსაც და ცოცხალსაც თავის სახელი დაერქვას.

და სანამ ვცხოვრობთ ამქვეყნად, უნდა ვიფიქროთ იმაზე,
ცოცხლები პასუხს აქ ვაგებთ,

მკვდრები იქ – უფლის წინაშე!

2006 წ., საქართველო

პარან პალამის გახსენება

ლექსს და სამშობლოს აქამდე მოჟყვა
და მიემატა ვაჟკაცთა დაშქარს.

პოეტი იყო, პოეტად მოქვდა,
ქართველი იყო, ქართველად დარჩა.

2006 წ., საქართველო

გელა ნიკურაძეს

არის ნამდვილი ვაშტაცი
სულით, გულით და სისხლით.
სხვის სიხარული ახარებს,
სტკივა ტკივილი სხვისი.

მეგობრებს ჭირში არ ტოვებს,
არც საქმით და არც ფიქრით,
ბედნიერებას ვერ ხედავს
თავის სამშობლოს იქით.

2006 წ., სექტემბერი

ხალხს რა სიკეთეს მოუტანს

გოგიერთები დეპუტატად არჩევისათვის
თურმე ფულს იხდიან.

საქართველოში კაი ყმა როცა მამულზე ფიქრობდა,
ფული კი არა, ქვეყნისთვის თავის სიცოცხლე მიჰქონდა.

ბრძოლებში არ უძებნიათ ავლადიდება, ოქრო და
ომიდან კარგი სახელი და ჭრილობები მოჰქონდათ.

ვინც ბრძოლის ველზე დაეცა, ვეღარ დაბრუნდა ომიდან,
მათი გმირობის ამბავი დღემდე ლეგენდად მოვიდა.

მარაბდისაკენ შვილები განა ფულისთვის მიჰყავდა,
 დედამ ქვეყნის და ღვთის ვალი ცხრა შვილით გადაიხადა.

და დედოფალმაც ისპაპანს, ჯალათის კუნძთან მისულმა,
 ფული კი არა, ქვეყნისთვის თავის დადება ისურვა.

ფული არ მოუთხოვიათ არც ცოტნეს და არც პაატას,
 ფულისთვის არ დაწერილა „მოყმის და ვეფხვის ბალადა“.

იმ მოყმემ, ვეფხვთან შეერილმა, ძალიან კარგად იცოდა,
 ორივე სახელისათვის, ღირსებისათვის იბრძოდა.

ქვეყნის ღირსება უფულოდ დაიცვეს არაგველებმა,
 მჯერა, სამშობლოს კაი ყმა არც ახლა არ დაელევა.

ალგეთის ლექვი წინაპრებს არ შეიძლება არ პგავდეს,
 სწორედ ამიტომ გავძელით და მოვადწიეთ აქამდე.

მაგრამ რა ხეირს დაგვაყრის კაცი სიბნელით მოცული,
 ჭკუით, ღირსებით კი არა, გაიძვერობით მოსული.

საგარმელი და სახელი თუ ფულითაა ნაყიდი,
 თუკი დასჭირდა, ის კაცი სინდის-ნამუსსაც გაყიდის.

ხალხს რა სიკეთეს მოუტანს ვირთხა სკამის და მაგიდის,
 ფულით მოსული ფულისთვის – საქართველოსაც
 გაყიდის.

2006 წ., თბილისი

მართლაცდა რაღა გამოლევს

„მშად იყავ მისცე ანგარიში ხალხს
და არა ყველა გამელელ-გამომვლელს“.
გალაკტიონი

მართლაცდა რაღა გამოლევს ამდენ გამვლელს და
გამომვლელს,
როდესაც ბრძენის იერით და ლამაზ სიტყვით გამოვლენ.

თუმც ჰქვია ზოგსაც მინისტრი და ზოგიც ღეპუტატია,
არას არგია ქვეყანას ზოგი ქაცი და პარტია.

ქვეყნის უღელი ყოველთვის იმათ მიაქვთ და უჭირავთ,
ვინც შრომობენ და იბრძვიან უხმაუროდ და უჩინრად,

ვინც თესავდა და ვინც მკიდა, ვინც „იავნანიას“ მდეროდა,
ვინც მაღლარსა და რქაწითელს შვილივით ევერებოდა.

დღესაც სამშობლოს იმედი და საქართველოს განძია
ის, ვინც მოიგო დიდგორი, ვინც ააშენა ვარძია.

მუდამ სამშობლოს შვილია და საქართველოს სჭირდება,
ვინც წერდა „ვეფხისტეაოსანს“, ქართველი ურის დიდებას.

თორემ დღეს საქართველოში მართლაცდა რაღა გამოლევს
ამდენ ყბედსა და მოლაფბებს, ამდენ გამვლელს და
გამომვლელს.

2006 წ., ნოემბერ-დეკემბერი

ჩემი ხალხის ჩემი პარტია

საქართველოში 170 პარტია

წუთისოფელმა ისე მათრია,
 მართლაც, სავსე ვარ უკვე შეღამდე,
 არავითარი არ მსურს პარტია,
 არავითარი არ მსურს ბეჭადი.

წაიღეს გული ამდენ ყბედობით,
 ამდენ სიცრუით და სიბოროტით.
 მხოლოდ სამშობლოს და ხალხს ვენდობი,
 მათი ერთგული ვრჩები ბოლოდე.

თორემ ცხოვრებამ ისე მათრია,
 სხვა თვალით ვუმზერ ახლა შეღაფერს...
 ჩემი ხალხია

ჩემი პარტია,
 ჩემი სამშობლო –
 ჩემი ბეჭადი!

2006 წ., ნოემბერი

* * *

გულს ნუ გაგიჩეხს დღეს გულგრილობა,
 დარდის მანტიას ნუდარ მოისხამ,
 შენი ტკივილი, შენი ჭრილობა
 ტკივილი არის შენი დროისა.

შენს სალოცავთან დარჩი ბოლომდე,
 სხვის ხატებს ნუღარ ეამბორები,
 ნუ შეგაშინებს ნურც სიბოროტე,
 ნურც აღრენილი ქუჩის ჭორები.

არავითარი ფიცი და მტკიცი,
 აღარ გჭირდება სხვა სამართალი,
 შენი სამშობლოს ფასი თუ იცი,
 საქუთარ თავთან თუ ხარ მართალი.

2006 წ., 03 მაისი

* * *

მე თუ გავჩუმდი, შენ თუ გაჩუმდი,
 თუ დავბრმავდებით, თუ დავყრუვდებით,
 დავითისა და შოთას ქვეყანა
 იქცევა ქვეყნად ყაჩაღ-ქურდების.

მე თუ არა ვთქვი, შენ თუ არა თქვი,
 მე თუ არ ვნახე, შენ თუ არ ნახე,
 ვინ, ვინ დაიცავს, უპატრონებს ვინ
 საქართველოს და ქართველის სახელს?

რა, რა იქნება ან დღეს და ან ხვალ,
 გავაჯეჯილეთ თუ ბევრი აქ სხვა,
 არ ამოვიდეთ არც ხმალი, არც ხმა,
 თუ ერმა თავის სათქმელი არ თქვა?

2006 წ., 03 მაისი

* * *

თუ მისთვის სისხლი აღარ დაღვარე,
 მის მტრებზე ჯავრი თუ არ იყარე,
 თუკი სამშობლო არ შეიყვარე,
 ისე სამშობლოც არ შეგიყვარებს.

მისი სიკეთით თუ არ იხარე,
 თუ მასზე ზრუნვით არ დაიღალე,
 თუ შენი ხალხი არ შეიყვარე,
 ისე არც ხალხი არ შეგიყვარებს.

2006 წ., ოქტომბერი

არ კმარა მარტო წარსულზე ვიქრი

როგორც კალმახი – ამღვრულ ტალღებს,
 დღეს საქართველო სიბნელეს უტევს,
 თავისუფლების კარიბჭეს აღებს
 და იმედებით ღამეებს უთევს.

არ კმარა მარტო წარსულზე ფიქრი,
 თუმც სტუმარი ვართ დღევანდელ დღისა,
 რაა ხიცოცხლე, თუ წლების იქით
 აღარ ჩაგვთვლიან ხსენების ღირსად.

ან ქართველობა როგორდა გვეთქმის,
 მკვდარი გვერქმევა აქაც და იქაც,
 თუ ჩვენი სისხლის და ოფლის წვეთი,
 არ შეემატა სამშობლოს მიწას.

თუ გაქვია შეიღნი ამ წერისოფლის
და გვხურს მომავლის პატრონად ვიქტორ,
დღეს ჩვენი სისხლი და ჩვენი ოფლი
უნდა ხვალინდეთ სამშობლოს მივცეთ.

2006 წ., აგვისტო

* * *

ვეღარ ვხედავ სიხარულის მიზეზს,
ჩემი ტაო-კლარჯეთი რომ მიმზერს.

ვერ მოვცდები ვარსკვლავების ძებნით,
საძებნი მაქვს წინაპართა ძვლები.

სხვის ტყივილზე, აბა, მე რა მეთქმის,
როცა მტკიცა ჩემი აფხაზეთი.

ან რას მარგებს მე პარიზის ხილვა,
როცა მტკრი აგერ მართმევს ცხინვალს.

ანდა დარდი როგორ მოვიკილო,
როცა ვიდაც ჩვენს დაყოფას ცდილობს.

ინდო-ჩინელს, მიღიარდთა პატრონს,
აქვს უფლება თცნებები ფანტო.

მე კი, ჩემი საქართველოს პატრონს,
მასზე ფიქრის უფლება მაქვს მარტო.

2006 წ., ივლისი

კახეთის გენერალური დაწესი

გვათრობს ალაზნის ველი გაშლილი
 და სურნელები კახურ ღვინისა.
 გულებს გვილადებს სარაჯიშვილის
 და ბულბულის ხმა გონაშვილისა.

თუმც ბევრი წელიც სისხლად წავიდა,
 არ გაგრეხია გული წამითაც,
 როგორც ყვავილი წინანდალისა,
 ამოდიოდა ხმა ლერწამიდან.

იყავ უტეხი მეტროლ-მოლაშქრე,
 ციხე და ბურჯი ქართლოსიანთა.
 ქუხდა, ელავდა მტერთან ბრძოლაში
 შენი ხმაცა და შენი სიათაც.

ერთი დედა ჰყავს იმერ-ამიერს,
 ერთად იყვნენ და ერთად არიან,
 კახეთში ნათქვამ „მრავალუამიერს“
 სამეგრელოში ისმენს „პარირა“.

ეს ერთად ყოფნა არის საწყისი
 ჩვენი ლამაზი მიწის და ციხა,
 სიყვარული კი — ოქროს საწმისი
 დადიანის და ჭავჭავაძისა.

და ერთობაა ჯაჭვის პერანგი
 და საქართველო პქვია სახელად,

ამაოდ ცდილობს მტერი ვერაგი
დაგუყოს მეგრელად, სვანად, კახელად.

მიწა თუ ჭალა, ტყე თუ მთებია,
ერთი სული და ერთი გულია,
სხვადასხვა ფერის ყვავილებია,
საქართველო კი – თაიგულია.

2006 წ., აგვისტო

* * *

ვხედავთ დღეს დროშას დიდგორის,
თბილისის თავზე გაშლილს.
წმინდა გიორგიც მახვილით
ისევ გამოჩნდა ცაში.

ისევ დავითის ხმა ისმის
დღეს ქართველების ხმაში:
– მონურ ყოფას და სიცოცხლეს
სიკვდილი გვიჯობს ცდაში!

2006 წ., ოქტომბერი

* * *

ბასიანი და ველი დიდგორის,
სვეტიცხოველი, ჯვარი, ვარძია,
მე სხვა სიმდიდრე არ გამაჩნია,
ჩემი სამშობლო ჩემი განძია.

და რომ მოვკვდები, მჯერა საოცრად,
და ამას ნურვინ ნუ გაიოცებს...
არც იქ შევიცვლი ხატს და სალოცავს,
საქართველოზე იქაც ვილოცებ.

2006 წ., სექტემბერი

* * *

ჩემი სიცოცხლის დღეებო,
ვატყობ, თანდათან მოკლდებით...
ადარ ვინახებ, სამშობლოს
ან თუ ლექსისთვის მოვკვდები...

თორემ ნელ-ნელა ვთავდები,
დარდისგან სახომიხდილი,
სხვანაირ სიკვდილს ამქვეყნად
მართლაცდა პქვია სიკვდილი.

2006 წ., ივლისი

* * *

ჩემო ბედო და ჩემო იმედო,
 ისე არ მომკლა, არ გამიმეტო,
 კრწანისის მტრების ჯავრი არ ვჭამო,
 ლაშარის გორზე არ მოვიღხინო,
 ჩემი ხალხი და ჩემი სამშობლო
 თავისუფალი რომ არ ვიხილო!

2006 წ., ოქტომბერი

მთვარე

პატარავდება ნელ-ნელა მთვარე,
 ილევა, მაგრამ კი აღარ ქვდება.
 ისევ ნათელი ადგება თვალებს,
 ისევ ივსება და მკვდრეთით დგება.

ჩემი სამშობლოც ჰგავს თურმე მთვარეს,
 მის გაჩენას და მის დაბადებას,
 და როგორც მთვარე, მჯერა, სულ მალე
 ჩემი სამშობლოც გაიბადრება.

2006 წ., აგვისტო

პალესტინის ცა

ისევ ბრძოლის და სროლის ხმა ისმის
 და მიმდიმდება ფიქრიც, გუნებაც.

გოლგოთის გზაზე დაღვრილი სისხლი
 ნუთუ არაფერს არ გვეუბნება.

რაც იყო, იმას გერავინ წაშლის,
 დრო თვითონ არის მემატიანე
 და ქართულ დროშას, ამაყად გაშლილს,
 იქ ჩვენი სული კვლავ აფრიალებს.

როცა აქ გვადგა დღეები ძნელი,
 იქ რუსთაველის სული გვშველოდა.
 იქ ხომ მერჩულე ათასი წელი
 ქართული მიწის ხილვის ელოდა.

იქ იოანგ-ზოსიმე წერდა
 ქართული ენის ქება-დიდებას,
 იხსნება ბჭენი გარდასულ წელთა
 და იმედები უფრო დიდდება.

იქნებ იქ არის თამარის ძვლებიც
 და რუსთაველის წიგნსაც ინახავს,
 ძველი ქართული ფოლიანტები
 იქნებ იქა დევს ისევ ინახად.

მათზე ოცნებით, ფიქრებით მათზე,
 როცა იმ წლებს და იმ გზებს მოვივლი,
 ტკიფილითა და წესილით მავსებს
 დღეს პალესტინის ცა შებოლილი.

2006 წ., ივლისი

60-იას კაფეზი

ადარ პქვია ვეფხვის ჯიში,
 არც ვეფხვობა არ მწამს მისი,
 როცა დადის ჯოხის შიშით
 და მორჩილი ხდება სხვისი.
 ცირკის ვეფხვი რა ვეფხვია,
 ვეფხვი კლდის და ჯუნგლის ვიცი.

• • •
 ადარა მწამს არც იმისი:
 გინც წერს, ამბობს ჯოხის შიშით.

2006 წ., 03 მაისი

* * *

„პოეტი ბრძოში“.
 გამარტინი

სულ სხვა დროა და სულ სხვა ხმებია,
 რამდენიც გინდა თქვი და იყევე...
 თეთრი გედები ისე კვდებიან,
 ისე მიდიან, – ხმას არ იღებენ.

არის სიტყვის და ლექსის წვალება,
 ყველა დროს თავის სალოცავი აქვე...
 პოეტი ბრძოში – არის წამება,
 ბრძოს პოეტი კი – საცოდავია.

2006 წ., 03 მაისი

„მე საყოველთაო ენას გეპებ“

ბრაზილიის
მწერლის პაული
როშანიდან „აღმიგიოსი“.
გთარმაზები – გურაგ გოგიაშვილი.

როცა დღეები პგავს ფოთოლცვენას
და დედამიწა უომრად ვერ ძლებს,
მაინც, რა პქვია ნეტავ იმ ენას,
ენას, რომელსაც მწერალი ეძებს.

კი, არის თუმცა მძიმე და ძნელი,
ის მაინც ფიქრობს სამყაროს ბედზე.
ხეალინდელი დდეც იმედით ელის
ენას, რომელსაც მწერალი ეძებს.

თუ მოთმინება ექნა იობის
და აღარ გახდა ეშმაკის კერძი,
მჯერა, იპოვის კაცობრიობა
ენას, რომელსაც მწერალი ეძებს.

გაიზიარებს ადრე თუ გვიან
მწერლის ოცნებას და ქვეყნის სვებედს:
– სიყვარული და მშვიდობა პქვია,
ენას, რომელსაც მწერალი ეძებს.

2006 წ., ნოემბერი

* * *

სხვა არაფერი, სიბერის მეტი,
ისე მივედი კუბოს კარამდი,
თეთრი შურით მშურს იმ პოეტების,
„ჭაბუკები რომ დარჩნენ მარადის“.

სხვა არაფერი, სიბერის გარდა,
და არ მასვენებს ბებერი სისხლი,
მოუმჯვდაროყავი მეც ახალგაზრდა
სამშობლოსათვის
ანდა
ლექსისთვის.

2006 წ., 60788880

* * *

ენა, სამშობლო და ლექსი –
ეს არის ჩემი სამება,
სიყვარული და აღერხი,
სიხარული თუ წამება.

და როცა ციდან ხმა მესმის,
სული მიწაზე არ იცდის...
სამშობლო, ენა და ლექსი,
სხვა საღოცავი არ ვიცი.

2006 წ., სესტემბერი

* * *

თუ ბედისწერამ ასე ინება
და სიმარტოვის წერად დავრჩები,
ავიტან ისევ ჭორს და გინებას
ამ საცოდავი არაკაცების.

სიცოცხლეს არვის დავესესხები,
გავათრევ დღეებს ისევ წვალებით,
თუ უპატრონო ჩემი ლექსები
ქუჩაში მაინც იწანწალებენ.

2006 წ., აბგასტო

* * *

სხვისთვის არც ისე ლამაზ-კარგებო,
მაცოცხლებს თქვენთვის თვალის შევლება,
ჩემო ლექსებო, ჩემო შვილებო,
თქვენ რომ არ მყავდეთ, რა მეშველება.

თქვენ რომ არ მყავდეთ, რა ეშველება
ჩემს წუხილსა და ჩემს სიმარტოვებს,
როგორ ვიცოცხლო, რისთვის ვიცოცხლო,
თქვენც თუ დამტოვებთ და მიმატოვებთ.

2006 წ., ნოემბერი

ქართული სიტყვა

„გაგიჟება სჯობს, თუ გათავდა სიტყვის მაღანი“.
პარლო იაშვილი

ვატყობ, თავდება მაღანი სიტყვის,
ჩემი სიცოცხლეც, ვატყობ, თავდება.
არ დამიკლია (გულწრფელად ვიტყვი)
არც ერთგულება, არც თავდაღება.

სურვილი მაინც სურვილად დარჩა,
სიტყვის უღელი ვეღარ გავწიე,
ქართული ლექსის დიდებულ ლაშქარს
ერთი სტრიქონიც ვერ შევაწიე.

ბოლომდე მაინც არ ვყრი იარაღს,
ქართული ენით მირონცხებული,
ჩემი სამშობლოს მტრებთან კი არა,
ქართულ სიტყვასთან დამარცხებული.

მახარებს იხიც, აქამდე მოვყევ,
ხომ ვცადე მაინც ვეფხვთან ჭიდილი,
ხომ მქვია ვეფხვთან მებრძოლი მოყმე,
მეამაყება ვეფხვთან სიკვდილიც.

2006 წ., 03 მაისი

* * *

როცა, დეთის ნებით, ამ ქვეყანაზე
გვყავს რუსთაველი და გვაქვს მთაწმინდა,
საქართველოში ბევრი პოეტის
იმედიცა და ლექსიც გაწილდა.

— შენც ბედისწერას ხარ აყოლილი,
თორემ მითხარი, აბა, ვინა ხარ?
როცა ცოცხალი გალაკტიონი
შეგხვედრია და ბევრჯერ გინახავს.

ამგვარი ფიქრით, კითხვით, კამათით,
საკუთარ თავთან ხშირად ვდაობ და
მაოცებს მერე ეს სითამამე
და ლექსის წერის გამბედაობა.

2006 წ., 08 მაისი

* * *

სასაცილოა ეს ბაქიბუქი,
ეს ტაშიტუშის კორიანტელი.
არავინ უწყის, დღე ხვალინდელი
ვის რას უქადის ანდა რა ელის.

შენი სიტყვა და შენი სათქმელი,
შენ რომ გგონია თურაშაული,
იქნებ სხვა დრო და სულ სხვა თაობა
არც შეხედავს და ისე ჩაუგლის.

2006 წ., აგვისტო

რა, რა მქნები სიკვდილის გერე

ქება-დიდებას ისე იფერებ,
 ლამის ცოცხალი კვარცხლბეჭებე შედგე.
 დღეს ლამაზია ეს ყველაფერი,
 მაგრამ სიკვდილის, სიკვდილის შემდეგ?

ხომ ვნახეთ, ბევრი სახელი გაქრა
 და ბევრი ძეგლი თოვლივით გადნა.
 არ ახსენდება არავის ახლა
 ნათესავების, ოჯახის გარდა.

და დღევანდელი ეს შენი ქებაც
 იქნებ ხვალისთვის არაფერს ნიშნავს,
 ეს ზარ-ზეიმი, რასაც შენ ხედავ,
 იქნებ წყალია და არა ქვიშა.

იქნებ წყალია ეს ყველაფერი,
 ჯილდო-ტიტულებს ამაოდ ენდე,
 რა, რა იქნები სიკვდილის მერქ,
 ათი წლის, თუნდაც თცი წლის შემდეგ?

თორემ დროს მიაქვს ეს ყველაფერი
 და მსაჯულია ხალხი და ერი...
 რა, რა იქნები ახი წლის მერქ,
 სამშობლოს შვილი თუ მიწის მტკერი?

2006 წ., სესტემბერ-იძტობბერი

გაუდის ყავლი სახელს და გვარებს,
 დროს გაჟყვა ყალბი ხოტბა და ქება.
 ჯილდო-ტიტულმა ვერ დაიფარეს,
 საფლავზე ადრე სახელი კვდება.

სიყალბე, ლიქნი, ქება და ჭორი
 რადგან შვილია ყველა დროების,
 სახელებსა და საფლავებს შორის
 დადის აჩრდილი ამაოების.

2006 წ.

მე ასე მხერა

მე ასე მჯერა და ასე მესმის
 და ასეც არის, ბოლოს და ბოლოს,
 შემფასებელი ქართული ლექსის
 ქართველი არის მხოლოდ და მხოლოდ.

სხვის მიწა-წყალი ვერ შეიფარებს
 და ბოლოს მაინც გახდება მტვერი,
 თუ შენს სტრიქონებს არ შეიყვარებს
 შენი სამშობლო, ხალხი და ერი.

მხოლოდ ეს არის გზა გადარჩენის,
 სხვა ყველაფერი მიღის და ქრება,

მოწოდება სჯობს ერთი ქართველის
უცხოთა ათას ხოტბას და ქებას.

კი, ასე მჯერა, მე ასე მესმის
და ასეც არის, ბოლოს და ბოლოს,
პატრონი ქართულ სიტყვის და ლექსის
სამშობლო არის მხოლოდ და მხოლოდ.

2006 წ., ოქტომბერი

* * *

„ცვივა ფოთოლი ჩვენი თაობის“.
გალაკტოზი

„ცვივა ფოთოლი ჩვენი თაობის“,
ჩვენი სიცოცხლის დღეებიც ცვივა,
მიგვაცილებენ ახალგაზრდები,
ზოგი წუხილით და ზოგიც ცივად.

მაოცებს ზოგის ეს გულგრილობა,
დრო ხომ არავის გვერდს არ აუვლის...
არც სიჭაბუქე არის ღირსება
და არც სიბერე – დანაშაული.

2006 წ., 03 მაისი

გაგაფხული რომ დაღგება

გაზაფხული რომ დაღგება,
იცვლება ცა და ხმელეთი,
იწყება გულის ჩქროლვა და
თვალების ელეომელეთი.

პირი – მზე, ტანი – ლერწამი,
ქალის მკერდი კი ნაღმია...
რომ ააფეთქებს უკცრად
გულს მოწყენილს და ნაღვლიანს.

გაზაფხული რომ დაღგება,
ზეიმობს ცა და ხმელეთი,
იწყება გულის ღელვა და
პაცუბის ელეომელეთი.

2006 წ., გამეო

გარდების გამყიდველი

ვარდებს ყიდის გოგონა და
თითქოს ისიც ვარდია.
გარს უვლიან ბიჭები და
დარდიანი დაღიან.

თვერება ქუჩა აპრილის შზით
და ვარდების ფერებით,
არის შორით წვა და დაგვა,
ლაციცი და ფერება.

არც გოგო და არც ვარდები
არ რჩებიან მარტონი,
ზოგს ვარდების ყიდვა უნდა,
ზოგსაც – ვარდის პატრონის.

ვარდად გაშლილ გოგოს სახეს
ღიმილი არ სცილდება,
– ვარდი გნებავთ, კი, ბატონო,
გოგო არ იყიდება.

2006 წ., აპრილი

ყველა ქალი ლამაზია

ყველა ქალი ქალია და
გულს ოცნებით დანაღმავს.
ყველა ქალი ლამაზია,
ოღონდ უნდა დანახვა.

ქაცის გულის ზეიმია
ლამაზ ქალთან შეხვედრა.
ყველა ქალი ლამაზია,
თუკი გულით შეხვდავ.

2006 წ., გაიხი

* * *

ოცნებები ფრთებს რომ გაშლის
 და ერთმანეთს ეძებს სული,
 თავის საქმეს იწყებს მაშინ
 კოცნა – გულის მოკიქული.

2006 წ., სამხტებები

040 მავინება

შეიძლება გამოიყენოს ბახხენება

იყო მშვენება და ერქვა მერი,
 იყო მიჯნურთა გულთა მპყრობელი.
 დრომ წარიტაცა ეს ყველაფერი,
 დროა სასტიკი და ულმობელი.

დროსთან ჭიდილში ვერაფერს გახდა,
 თუმცა ბევრს სურდა, თუმც ბევრს ენება.
 ვერც ოქრო-ვერცხლმა, ვერც მეფის ტახტმა
 ვერ იხსნა მისი მშვენიერება.

და დღეს, თუ იხევ გულებს ანაზებს
 და აღარ დარჩა დროის არჩივად,
 მერის მშვენება და სილამაზე
 პოეტის ლექსმა გადაარჩინა.

P. S.

ო, მშვენიერო ქალბატონებო,
სხვა უკვდავებას ნუ მოიგონებოთ,
ოქვენი სახელი და სილამაზე
ანდეთ ფუნჯს, პანგებს, ანდეთ სტრიქონებს.

2006 წ., 0860ხ0

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

2005

ବିଜୟ

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

პრ ეკუთვნის სამშობლო ერთ ღრმს და ერთ თაობას

საქართველოს სიცოცხლე სიცოცხლეა იმათი,
ვინც იცხოვრა სამშობლოს სიყვარულით, სიმართლით,
უერთგულეს ქვეყნას, ქრისტეს ქვართით შელოცვილს,
სამშობლოსთვის იცოცხლეს, მოკვდნენ საქართველოსთვის.
თუმც ქვეყნისთვის სიკვდილი მიიჩნიეს წყალობად,
არ ეპუთვნის სამშობლო ერთ დროს და ერთ თაობას.

საქართველო არავის არ უდგება თავდებად,
ის არავით იწყება, არც არავით თავდება.
ახლა მიხი სიცოცხლე სიცოცხლეა იმათი,
ვინც დღეს ცხოვრობს სამშობლოს სიყვარულით,
სიმართლით.

უსამშობლო სიცოცხლე არის არარაობა,
არ ეპუთვნის სამშობლო ერთ დროს და ერთ თაობას.

საქართველო არავის არ უდგება თავდებად,
ხვალ იქნება იმათან, ვინც დიდგორთან დალგუბა.
საქართველოს სიცოცხლე ხვალ იქნება იმათი,
ვინც იცოცხლებს ხვალ ქვეყნის სიყვარულით, სიმართლით,
ვინც დაიკავს ხვალ ერის ღირსებას და რაობას,
არ ეპუთვნის სამშობლო ერთ დროს და ერთ თაობას.

საქართველო არავის დაუდგება თავდებად,
არ იწყება არც მეფით, არც ტირანით თავდება.

ამაობ სურვილი, ქადილი და ზვაობა,
არ ეკუთვნის სამშობლო არც ერთ დროს და თაობას,
რადგან მისი ხიცოცხლე ხალხია და ერია,
საქართველოს სიკვდილი, არა, არ უწერია!

2005 წ., თბილისი

ბევრი ქართული იარაღების გამოვენა ქარვასლაში

აგერ გორგასლის ფარ-ხმალი და მისი ჯაჭვის პერანგი,
უნაგირი და აბჯარი მისი ერთგული მერანის.

აგერ შუბი და ხანჯალი, ჩაფხუტი ნაშამქორალი,
აგერ დავითის მახვილი, ფრანგული ნადიდგორალი.

აგერ ის დროშა დიდგორის, ველზე რომ ააფრიალეს,
ასევე ისმის ხირიმის და მაჭახელას გრიალი.

აგერ დაფი და ნაღარა ომში ჩასული მაჩაბდის,
ხმალი მტრის სისხლით გამძლარი და არა სირცხვილნაჭამი,

ჩამწერივებულან ხანჯლები ხამასი არაგველების,
აგერ ის სამკლავურები მტერს შელეწილი ხელების.

ეს კი ის იარალია, მტერს რომ უომრად აშინებს,
დიაცთა საჭურველია, გვერდით რომ ედგნენ ქმარ-შეიძლებს.

გამარჯვებული ქართველი თუ ასვენებდა იარალს,
აგერ დოქი და ჭინჭილა, აზარფეშა და ფიალა.

ომში ნაბრძოლი მარჯვენით ჯიხვის რქას ხელში იღებდნენ და გამარჯვების ნადიმზე ყანწს მახვილივით იქნევდა.

დღეს ეს გაშლილი დარბაზი თითქოსდა ბრძოლის ველია და თუ დასჭირდა სამშობლოს, პატრონებს ისევ ელიან.

დღესაც ქართველი ბიჭები გულს მამულისთვის ხარჯავენ, ჯაჭვის პერანგის შემყურე ისევ ცერზე დგას ხანჯალი.

ისევ ეძახის ვაჟკაცებს ფშავ-ხევსურელთა სამოსი, ისევ დამდგარა დრო-ფამი მკლავის და მუხლის გამოცდის.

რადგან წინაპართ სულები აქ, ამ დარბაზში ტრიალებს, გორგასალ-დავითიანის დროშებს კვლავ ავაფრიალებთ.

კვლავ დაუდგება სამშობლოს წლები ლალი და მზიანი და საქართველო ისევე იდიდგორ-იბასიანებს.

2005 წ., 03 მაისი

პატ ყანა

მაძუხა ჩოლოგაშვილის ხეოვნას

არ ჩნდება ცეცხლი უკვამლოდ და არც უომრად სახელი, შენმა ხმალმა და მკლავმა თქვა შენი სიტყვა და სათქმელი.

მხოლოდ მამულზე ფიქრობდი, მხოლოდ სამშობლოს ლოცავდი, არ გიძებნია ამქვეყნად სხვა ხატი, სხვა სალოცავი.



შხეოლოდ სახელი კაი ყმის სწამდა შენს გულს და გუნდუმისა, არ გიძებნია ამქვეყნად სხვა განძი და სხვა ქონება.

სამშობლოს შეწირულები თურმე არასდროს კვდებიან, რმში გმირების სახელნი ცოცხლების გვერდით დგებიან.

და როცა გული უტეხი და სული ბორკილაყრილი, როცა მტრებს შიშველ ხელებით ებრძოდა ის 9 აპრილი,

გულს უმაგრებდა ვაჟქაცებს შენი ხმა, შენი ძახილი, მიპქონდათ შენი სახელი, ვით ამოწვდილი მახვილი.

შენი სიცოცხლით, სიკვდილით, შენი ჯიშით და ჯილაგით, ცოცხლებს იმედად დაურჩი და მკვდრებს პატივი მიაგე.

ვერ მოგერია ვერც მტერი, ვერც დროის აყალმაყალი და გელოდება მთაწმინდა, ყველა მწვერვალზე მაღალი.

დღეს გელოდება სამშობლო შენზე ლოდინით დადლილი, არ იკარგება სისხლ-ოფლი სამშობლოსათვის დაღვრილი.

2005 წ.

ამორძალი

2. გ-ე

როდესაც იდგა სიავის ქამი,
ცრუმლი და სისხლი აწვიმდა თბილისს,
არ გაძცევია ის ერთი წამით
თავის ხალხის და სამშობლოს ტკივილს.

მიტინგებზე თუ საკანზი ციხის
 არ თმობდა ქვეყნის იმედს და რწმენას,
 იძრძოდა არა საკუთარ თავის, –
 ქვეყნის მომავლის გადასარჩენად.

ვერ შეაშინეს და ვერ გატეხეს,
 ფიქრობდა მხოლოდ სამშობლოს ბედზე,
 როცა ურტყამდნენ სისხლიან ფეხებს
 სულში და გულში, გულზე თუ მკერდზე.

მკერდზე, რომლითაც იცავდა მამულს,
 ძუძუზე, რითაც მომავალს ზრდიდა,
 და ტვირთი დედის და დედაკაცის
 ქედმოუხსრელმა ბოლომდე ზიდა.

ქართველი ქალის ამაყი სული
 ვერ მიაჩვიეს ცრემლსა და წეწუნს,
 ელანდებოდა ის ისპაპანი
 და ქეთვევანის მოჭრილი ძუძუ.

შთამომავალი იმ ქართველის დედის,
 ბარიკადებზე ნაბრძოლი ქალი
 სამშობლოსათვის მოჭრილი მკერდით
 დადის თბილისში ვით ამორძალი.

2005 წ., აკრილ-გაიხი

ჩვენების ერთი

ვუძღვნი საქართველოში ჩამოსულ ლაგებს.
 სარწმუნოებისათვის თავდაბეჭდი ლაგები
 წმინდანებად შერაცხა ქართულმა ეკლესიაზ,
 მათი ხევნების დღედ 12 მაისი (ძვ. სტ. 29
 აპრილი) დააწესა.

თქვენზე წუხილი ჩვენ ბევრჯერ ცრემლებად გადავაგორეთ,
 გულს კლავდა თქვენი დუმილი და უფრო – თქვენი სიშორე.

იმ ოცნებიდან, ფიქრიდან, იმ ძეგლი საქართველოდან
 ფარნავაზ-ქუჯის სამშობლო დიდი ხანია გელოდათ.

ლეგენდები და მითები წინ მიგვიძლოდა ხატებად
 და პგავდა სიზმრის ახდენას თქვენი აქ გამოცხადება.

დიდ წინაპართა სულები დღეს საულავიდან დგებიან,
 ნიკორწმინდა და ჰყონდიდი თქვენ წინაპართა ძვლებია.

მჯერა, აწი არ იქნებით სამშობლოსათვის ხიზნები,
 საქართველოში ივლიან თქვენი ფიქრი და სიზმრები.

კვლავ გელით ნოქალაქევი, ის ზღვა და დიოსკურია,
 ისევე თქვენი სიტყვები და სიყვარული სწყურიათ.

მარტვილი ისევ თქვენს ბედზე იმარტვილებს და იდარდებს,
 რომელ ხატზეც გსურთ, ილოცეთ, საქართველო კი გიყვარდეთ.

რომელ ცას გსურდეთ, უყურეთ, ცა და მზე ყველგან ერთია,
 ოდონდ იცოდე, ჯიმაგე, სამშობლო სულ ხევა დმერთია!

2005 წ., ოქტომბერი

ქართული სელი ელავდა იმ ჩრხა-ახალ ჟაზი

ეძღვნება ჩოხოსანთა ფიცის ტექსტის ავტორს –
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს
ილია II და ქართველ ჩოხოსნებს.

„შეგწოხიანო ვაკებო, ასე რამ გაგახალისათ,
ელრიალი ხომ არ მოგესმათ ოქა ჯურხაის ფარისა“.
ლადო ასათიანი

ჩოხით შემოსილ ქართველ კაცს გული სხვაგვარად
უძგერდა,
პგავდა შემართულ მახვილს და ყველა ჭირ-ვარამს
უძლებდა,
სამშობლოსათვის იბრძოდა და სიკვდილს თვალში
უძნერდა.

ჩოხის ქვეშ – გული უტეხი, ჩოხაზე – ქამარ-ხანჯალი,
მქერდზე – მასრა და ქილები, ტყვია – ტყვიაში ჩამჯდარი
და საქართველოს სახელი იყო ფარი და აბჯარი.

ქართული სული ელავდა იმ ჩოხა-ახალ ჟაზიდან,
ზოგს პქონდა მზერა არწივის, ზოგს – მგლის უდღევდი
მუხლი და
შეგწოხიანი ვაშკაცი მომხდურებს ქედს არ უხრიდა.

ქართული ჩოხის ფერებიც ქვეყნის წარსულზე მდერიან,
შავი – გლოვაა ვაშკაცთა, წითული – ბრძოლის ფერია,
თეთრი – სიცოცხლის პიმნია და მტერი ვერ მოგვერია.

განადა მარტო სამოსის, სხვა ყადრი პქონდათ სრულიად,

გულს უმაგრებდათ ვაჟაცეპს ჭრილობიანთ და წყლულიანთ,
იმ ჩოხა-ახალუხებში დიდ წინაპართა სულია.

და დღესაც მხოლოდ იმათ აქვთ ჩოხის ტარების უფლება,
ქართველი კაცის ღირსებას ერთგულად ვინც დაუდგება,
ვინც იცის, რაა სამშობლო და ქვეყნის თავისუფლება.

თქვენც, ჩოხოსანნო ქართველნო, ვიცი, „რამ გაგახალისათ,
ისევ მოგესმათ ქლრიალი ოქა ჯურხაის ფარისა“,
როცა ხედავდით რუსთველზე მხედრობას –

იმედს ხვალისას!

2005 წ., 26-27 მაისი

შენი ლექსები შენი ძეგლია

„მე ყაჩალებმა მომკლეს არაგვზე,
შენ ჩემს სიკვდილში არ გიდევს ბრალი“.
ტიციან ტაბიძე

არაგვს არა და აღარ ასვენებს
გულის მომკვლელი შენი სტრიქონი.
ალაგერდის ცა ისევ გახსენებს
და ანანურიც ისევ გიგონებს.

საქართველოზე ფიქრით დადლილი
აღარ სცილდები იმერს და ამერს,
შენი ლექსები ერთგულ ძაღლივით
ისევ სდარაჯობს თბილისის დამეს.

სამშობლოს უდელს ისევ ეწევი,
 შენ სხვა უდელი არ გაიკარე
 და მოვარდნილი „ლექსი მეწყერი“
 საქართველოს მტრებს უმტვრევენ კარებს.

შენი საფლავი յо არსად არ ჩანს
 და ის მიწაზე არ გვიძებნია,
 შენი სიცოცხლე ლექსებში დარჩა,
 შენი ლექსები შენი ძეგლია.

როდესაც სული სამოთხეშია,
 რა საჭიროა საფლავის ძებნა,
 შენი სიცოცხლე ქართულ ლექსშია,
 ქართული ლექსი თავს გადგას ძეგლად.

იმათ იკითხონ, ყაჩაღმა მქვდრებმა,
 ვისი საფლავიც მხოლოდ მტვერია.
 ნაღდი პოეტი არასდროს კვდება
 და შენც სიკვდილი არ გიწერია.

შენი სიტყვის და ლექსის მადანი
 საქართველოში აღარ დაშრება,
 იყო არაგვზე შენი სიკვდილი
 ჟკვდავებასთან გათამაშება.

2005 წ., აბვისტო-სესტემი

* * *

„წიწამურთან რომ მოკლეს იღია,
მაშინ ეპოქა დასრულდა დიდი“.

გალავაზი იორბე

სტალინი მოკლდა, იღია მოკლეს,
გალაკტიონმა მოიკლა თავი...
როგორ უძრალოდ ვიხსენებთ ზოგჯერ
იმ დროს, ულმობელს და სისხლით ჩავლილს.

უნდა ჭრილობას და ტკივილს ჰგავდეს
ის მოგონება, ის წლები ავი:
სტალინი მოკლდა, იღია მოკლეს,
გალაკტიონმა მოიკლა თავი...

2005 წ., იანვარი

* * *

ერთმანეთის შერი, მტრობა
და დალატის მორევი,
სხვა არავინ აღარ არის
საქართველოს მომრევი.

2005 წ., აპრილი

* * *

საქართველოში სინდისის გარდა
თუ ცოტა ნიჭიც გარგუნა ღმერთმა,
აღარ აგცდება გოლგოთის გზა და
შური და მტრობა ტალახთან ერთად.

თუ შენი ქვეყნის ერთგული გქვია,
თუ საქართველო ნამდვილად გიყვარს,
უნდა ელოდო, ადრე თუ გვიან,
გინებას, ლანძღვას, დალატს ან ტყვიას.

2005 წ., 05 ნოემბერი

სამმობლოვა ჩემო

რადგან ღვთიური დაგუფა ბუნება
და ყველასათვის ღია გაქვს კარი,
მოდის და მერე გედიდგულება
ყველა ხიზანი და მათხოვარი.

2005 წ., სესტემბერი

მტერო, არ მეგიშინდები

მტერო, არ შეგიშინდები,
შინაურო თუ გარეშევ,
გვინახავს ბევრი ორგული,
მომხდეური და მოთარეშე.

არ დაგვეკლებია არც ადრე
 ცრემლის ტბა, სისხლის მდინარე,
 გვივლია ბეწვის ხიდზე და
 დიდგორის ველზეც ვიარეთ.

ჩვენი სიტყვა და პასუხი
 მომხდურებს ბევრჯერ ვუთხარით,
 ვერც დღეს გაგვტეხავთ ქართველებს
 ტერორითა და მუქარით.

ჩვენ ბევრჯერ გადაგვიარა
 ხმლის ელვამ, სისხლის წვიმამა,
 მოხვალ და მწარედ ინანებ,
 როგორც ბევრმა სხვამ ინანა.

2005 წ., ოქტომბერი

თბილის

რა გოლგოთის გზა გამოგივლია,
 რა გულისა და სულის დამწველი.
 სისხლით ნაწერი შენ ხარ ბიბლია,
 ხარ მატიანე ცრემლით ნაწერი.

2005 წ., ოქტომბერი

* * *

როცა ვუყურებ, მე ასე მესმის,
ასე მგონია და ასე მეთქმის,
ეს საქართველო –

ლამაზი ლექსი –
შექმნილი არის პოეტი ღმერთის.

2005 წ., 0360ხ

* * *

„ვაჲ, დრონი, დრონი...“
აღ. ბაზარიძე

არა, არ ელტვოდა კარიერას,
პოეტი დგებოდა ბარიერთან.
„ვაჲ, დრონი, დრონი...“

სამშობლოსათვის სანგარში ჯდებოდა
ან გილოტინაზე კვდებოდა.
„ვაჲ, დრონი, დრონი...“

არა ღვარძლითა და ბოროტებით,
პოეტებს უყვარდათ პოეტები.
„ვაჲ, დრონი, დრონი...“

თუ თავს სწირავდნენ – ლექსის გულისთვის,
თავს თუ იკლავდნენ – სიყვარულისთვის.
„ვაჲ, დრონი, დრონი...“

ყოფილან ასეთი პოეტები,
ყოფილა ასეთი დროებები.
„ვაკ, დრონი, დრონი...“

2005 წ., 01 ნოემბერი

ნარჩერა ეთერ თათარაიძის ნიზნეა

„ბეჭედან რაზიაპაშვილის ნაამბობი“.

იყო მთასავით ამაფი, ფშაურ ლექსივით მართალი,
ვაჟა-ფშაველას სისხლ-ხორცი და მისი ჩამონათალი.

მამის ხმა-კილო დაკრავდა, მისი ფერი და სურნელი,
საგანძურს ჰგავდა მთისასა, მაგრამ არ ჩანდა მსურველი.

რადგან არ ჰყავდა პატრონი მის ნათქვამსა და ნაფიქრალს,
ბევრი სიტყვა და გულისხმა დუმილის წლებმა აკრიფა.

ხედავდი – მამის საგანძურს შვილის გუმანი აღებდა
და აუნჯებდი მის სიტყვებს, ვაჟას ლექსების ნაღვერდალს.

მართალ სიტყვას და მართალ გულს თურმე წლები ვერ
აბერებს,
ეფერებოდი მის ხელებს, ვაჟას ხელების ნაფერებს.

პერევტი გულის გაღება თუმცა არ იყო ადვილი,
არ გაატანე მიწაში სათქმელი, გულის წადილი.

და მოიტანე აქამდე გულქანის გულის მარილი,
მისი სიტყვა და ფიქრები, მთაში ნაზარდი ყვავილი.

მიესალბუნა მთაწმინდას ჩარგლის პაკა და მზის სხივი,
და მამას შვილის ფიქრები შემოახვიე ნისლივით.

იხარე, ქალო ეთერო, შენი თუშეთის ერთფერო,
მინდა შენს გულს და შენს ჭკუას შენი ლექსებით

ვეტერო.

2005 წ., იანვარი

სენაკი

ჩეზი ბავშვობის ძაღლაძი

დავდივარ, ვეძებ ბავშვობის ქალაქს,
გული საგულეს ვერ ძლებს.
ვეძებ ძველ ქუჩებს, მოედნებს, სახლებს,
ნაცნობ სახეებს ვეძებ.

დავდივარ, ვეძებ და გული მწყდება,
ყელს ებჯინება ცრემლი.
გადაიყოლეს, ეტყობა, წლებმა,
არ ჩანს ქალაქი ჩემი.

მე რომ მიყვარდა, იმ ბაღში ახლა,
სულ უცნობები სხედან.
სევდიან ფიქრებს იმედიც ახლავს,
დე, გაიხარონ სხვებმა...

და ვესალმები და ვეფერები
ყველას ღიმილს და სიცილს,
ეს უნებლივ სევდა და ცრემლიც
ალბათ სიბერებ იცის.

თვალი კი მაინც ჯიუტად ეძებს
ნაცნობ სახეს და სახელს.
გაგლახ, რომ ბევრის სახელიც, გვარიც
სასაფლაოზე ვნახე.

2005 წ., აბგინეთო

ჩემი პორტა

მატადორი ვარ, ყარიბი,
და მომწონს ჩემი ქორიდა,
როცა ხტრიქონი გამირბის,
მექეპლუცება შორიდან.

როცა ეჭვებით ამაგსებს
და მოლოდინით მაწამებს,
როდესაც ლექსი ლამაზი
ლამაზ ქალივით მაწვალებს.

2005 წ., ხესტიებერი

პრეზიდენტის ტკიბული

„ეტყობა, პოეტს არ ეკუთვნის აღარაფერი
ტკიბილის გარდა...“

რჩხა გალანდია

როცა უმწეოდ გოდებს და ყვირის
და სიმართლის ხმა არავის ესმის,
მე ვენაცვალე პოეტის ტკიბილს,
როცა ტყვიას ჰგავს ხიტყვაც და ლექსიც.

ძარღვში წინაპრის სისხლი რომ ყივის
და საქართველოს სახელი პქვია,
მე ვენაცვალე პოეტის ტკიბილს,
თავის გოლგოთის გზაზე რომ მიაქვს.

როცა კრწანისი, ტამიში კივის
და ცრემლი აღარ სცილდება დარჩელს,
მე ვენაცვალე პოეტის ტკიბილს,
ქვეყნის ტკიბილს რომ შეელის და არჩენს!

2005 წ., 03 ნოემბერი

ლალატი

გაუძლებს კველა ჭირ-ვარამს,
საწუთროს სამუხანათეს,
მაგრამ იმ დღიდან მკვდარია,
ლექსებმა თუ უდალატეს.

დარჩება ოხვრა-გოდება
 უდაბნოს შინა დაღადად...
 ლექსი იმ პოეტს დაღატობს,
 სამშობლოს ვინც უდაღატა.

2005 წ., სექტემბერი

დღეს პოეტისი თავს არ იპლავენ

„მე მოვკვდები როგორც
 პოეტს შეპფერის“.

„წვეთი სისხლიც არ არის
 ჩემში არა პოეტის“.

გალაკტიონი

არც მფარველი და არც გამკითხავი,
 მათი პატრონი მარტო მკვდრებია...
 დღეს პოეტები თავს არ იკლავენ,
 დღეს პოეტები დარდით კვდებიან.

არც ხმის გამცემი, არც გამკითხავი
 და არც არაფერს ეკითხებიან...
 დღეს პოეტები თავს არ იკლავენ,
 შიმშილითა და დარდით კვდებიან.

დღეს პოეტები თავს არ იკლავენ,
 ისე მიდიან, ისე ქრებიან.
 არც ბრძოლის ველზე, არც ბარიკადზე
 და არც დუელში აღარ კვდებიან.

წერა გავმხდარგართ ამაოების
 და ეს დღეები ასე მიდიან...
 სისხლიც არ გვიდულს ალბათ პოეტის
 და თავის მოკვლაც არ შეგვიძლია.

2005 წ., დეკემბერი

P. S. პოეტ დავით მაედლერის ხსოვნას

თურმე ამაო გამოდგა შიში,
 საქართველოში სროლის ხმა ისმის,
 არ ამომწყდარა პოეტთა ჯიში,
 ისევ იღვრება პოეტის სისხლი.

2005 წ., 03 ნოემბერი

მურინავი პოლანდიელი

პოლანდიელზე რა გითხრა, აბა,
 ან იმ გაფრენილ ხომალდის ბედზე,
 ფეხლა მიჯნური ასეა ალბათ,
 თავის ერთადერთ სიყვარულს ეძებს.

პოლანდიელზე რაღა ვთქვა, აბა,
 მაგრამ ვფიქრდები პოეტის ბედზე.
 ფეხლა პოეტი დაფრინავს ალბათ
 და იმ ერთადერთ თავის ლექსს ეძებს.

2005 წ., 05 ნოემბერი

როდესაც გული გულს უგებს
 და სული სულთან სწორფერობს,
 უფრო ლამაზი მგონიხარ,
 ლამაზო წუთისოფელო.

2005 წ., ოქტომბერი

მემორიალის პარდები

„რა ცედი ყოფილხარ, სიბერევე!“
 ღოღო პიშინაძე
 (ტელეკურანიდან გაგონილი)

I.

იცის შემოდგომის ქარმა,
 შემოდგომის ფერმა იცის,
 დარდი რატომ ეპარება
 ვარდისა და ქალის სიცილს.

იცის შემოდგომის წეიმამ,
 გულში თუ რა გრძნობა ღვივის,
 სევდა რატომ ეძალუბა
 ვარდისა და ქალის ღიმილს.

იცის შემოდგომის სუსხმა,
 სულის რა სტკივა, რა აწვალებს,
 შემოდგომის ვარდის ჩამი
 რად ასველებს ქალის თვალებს.

II.

გახსოვთ ვარდი, პო, ის ვარდი,
ერთ დროს მართლაც მზეს რომ პგავდა,
ოცნებებით, ფიქრით, დარდით
თავს გერჩიათ და გიყვარდათ?

გახსოვთ ვარდი, თქვენი ვარდი,
ვისი ნებით, ვისი შადლით
ლამაზ სიზმრებს რომ ხედავდით
და ზეცაში დაფრინავდით?

გახსოვთ ვარდი, პო, ის ვარდი,
ანგელოზად თავს რომ გაღგათ,
ყველაფერი რომ გიყვარდათ
და ცხოვრება ზღაპარს პგავდა?

იმ ვარდების დარდი, სევდა,
არა მჯერა, არ გიყვარდეთ
და გულგრილად ნუ შეხედავთ,
ნუ ჩაუვლით დამჭერარ ვარდებს.

2005 წ.

* * *

ოცნებების გარეშე
 პოეტები ქვდებიან.
 სიყვარული და ლექსი
 პოეტების ფრთებია.

ნადვლიანი ცხოვრებით,
 ჩანს, ფინიშთან მივედი.
 ცოტა კიდევ მაცოცხლე
 ოცნებით და იმედით.

შენი ღიმილ-სიცილით,
 სიყვარულით ამაგსე,
 ეს უაზრო ცხოვრება
 ცოტა გამილამაზე.

სიყვარული და ლექსი
 პოეტების ფრთებია;
 ოცნებების გარეშე
 პოეტები ქვდებიან.

2005 წ., თბილისი

* * *

ისევ მინდა სიყვარულს
 გულის კარებს ვუდებდევ.
 სხვას არაფერს არ ვედი,
 შენს ღიმილზე უკეთესს.

სულს მოუნდა სიყვარულს
 ისევ ვარდებს ვუფენდა.
 სხვას არაფერს არ ვნატრობ,
 შენს ალერსზე უკეთესს.

ო, როგორ მსურს სიყვარულს
 ისევ გუნდრუპს ვუძმევდე,
 სხვას არაფერს არ ვითხოვ,
 სიყვარულზე უკეთესს.

2005 წ., აპრილი

* * *

სანამ ჯერ კიდევ აქა ვარ,
 სიცოცხლის ჟინი დაშრება,
 სიყვარულს ვეთამაშები,
 ხან თვითონ მეთამაშება.

და მოწყენილი დღეები
 მიდის უაზრო დავაში.
 კატასთან თაგვის თამაშს პავჭ
 ბებერი გულის თამაში.

სიყვარული ხომ ბრმა არის,
 აბა, ვის
 რას ეკითხება.
 იქნება ბრჭყალი გამომკრას
 და დამიჭიროს კიდევაც.

2005 წ., ივნისი

* * *

„მოდი, შემინდე ეს სიყვარული“.
რაბინდრანათ მამრი

სიყვარულში რომ ვერ დაგარწმუნებ,
არ დამიწუია წლებთან კამათი,
სიბერეს ერთი გაფულაწუნე
და მივჰევ ჩემი ბედის კამათელს.

ჩანს, იმედები ჯერ არ დაცლილა,
რადგან განგებამ ასე ინება,
გაფუძლებ ყველა ქილიკ-დაცინვას,
გაფუძლებ ყველა ლანძღვა-გინებას.

ვიქნები ჩემი ფიქრის ამარა,
თუ ოცნებებით დამე ვათიე...
ახლა ეს არის ჩემთვის მთავარი,
შენ ამ სიყვარულს თუ მაპატიებ.

2005 წ., აბგოხოვ

* * *

იქნებ არის ოცნება
 და თვითონვე ვიგონებ,
 იქნებ ტყვილა ვაწვალებ
 ლექსებსა და სტრიქონებს.

იქნებ სასაცილოა,
 მაგრამ მაინც ვიფერებ,
 სიყვარულის იმედით
 ვაფრთხობ წლებსა და სიბერებს.

2005 წ., აპრილი

* * *

სხვისი არ ვიცი, მე კი ვარ
 დარწმუნებული ძალიან:
 წყალია ოქრო და ვერცხლი,
 მეფის გვირგვინიც წყალია.

ეს ყველაფერი ღროს მიაჭის
 და დრონიც წარმავალია.
 მხოლოდ ღმერთი და სამშობლო,
 სხვა ყველაფერი წყალია.

სხვისი არ ვიცი, მე კი ვარ
 დარწმუნებული ძალიან:

წყალია ყალბი დიდება,
ტირანის ტახტიც წყალია.

თუ ქვიშად რამე დარჩება
საწუთოს ცოდვაბრალიანს, —
სიყვარული და ლექსია,
სხვა ყველაფერი წყალია.

2005 წ., გაიხი

ଶ୍ରୀମଦ୍

2004

ଚିତ୍ରଳୋକ

ଶ୍ରୀମଦ୍

დოლის პური

ქართულ ღოლის პურს საოცარი თვისება
 გააჩნია, გარდა იმისა, რომ გემრიელი და
 სურნელოვანია, როცა შტერი შემოგვეხვდა
 და გადათვლავდა, გადათვლილი ყანა ცოტა
 ხანში მიწიდან ისევ დგებოდა.

როცა მტერი ქართულ მიწას წვავდა, თხრიდა, ბუგავდა,
 გათვლილი საქართველო თითქოს ღოლის პურს პგავდა.

ასგზის დაჭრილ-დაწეხილი მაინც ადარ კვდებოდა,
 წაქცეული საქართველო ისევ ფეხზე დგებოდა.

თუ ქართველი მონად ყოფნას ზოგჯერ სიკვდილს არჩევდა,
 ის უკვდავი ქართვლის დედა აკვანს ისევ არწევდა.

ისევ ზრდიდა გოგო-ბიჭებს ლეგენდებად, ლექსებად,
 ხან ყინწვისის ანგელოზად, ბეთანიის ფრესკებად,

ხან ქეთევან დედოფლებად, ხან თევდორე ბერებად,
 ხან ცხრა ძმებად, ხანაც კიდევ სამას არაგველებად.

კაცი, მამელის შეწირული, განა სიკვდილს ნანობდა,
 ტანზე ისევ თაფლს ისვამდა, ისევ დადიანობდა.

ისევ მახვილს ამღერებდა, სევდას არად აგდებდა,
 საფლავიდან დგებოდა და ციხე-კოშკებს აგებდა.

ვაჟა-ცემის სახელები ხომ სამშობლოს განძია,
 მათი სული ცოცხლდებოდა, კლდეში ჭრიდა ვარძიას.

მოქმედ, ვეფხის მოქლული თუ შეწირული მარაბდას,
ისევ წერდა ვეფხვის ტყავზე ყმის და ვეფხვის ბალადას.

პური ჩვენი არსობისა განა მარტო პურია,
დოლის პური ჩვენი რწმენა და უკვდავი სულია.

რაცი აღარ გვიძებნია სხვა განძი და ქონება,
ფეხზე დამდგარ საქართველოს პქვია
„ქართველის ცხოვრება“.

2004 წ., გაიხ

ცრემლი და დარღი გურჯების

თურმე თურქები ამბობდნენ, – გურჯების
მიწა თურქეთში იმიგრაცია დამაში და მდი-
დარი, რომ მას ცრემლებით რწყავენ. გურჯის
ცრემლი კი მაღლიანი და ჯადოსნურია“.

გაზეთი „გვირის პალიტრა“,
30 სექტემბერი-5 აგვისტო

ენატრებოდა სამშობლო, კერა და ფუძე აყრილი,
თურმე ცრემლებად იქცევა, როდესაც დარდი არ ყვირის.

როდესაც მონატრება და მიწის ყივილი არ წყდება,
ენით უთქმელი ტკივილი თვალებს ცრემლებად აწვება.

გულით დაქონდათ სამშობლოს ჩაღვერდალი და ნაცარიც,
ამიტომ ცრემლით ლღვებოდა იქ მათი პურის მარცვალი.

თუ ვაზთან ერთად ტიროდა გულმწუხარე და გულმწყრალი,
მჩევნის კუმპალად ქცეულა იქ მათი ცრემლის კურცხალი.

რადგან ფანდურის სიმებსაც ცრემლი პანგებად ეკიდა,
სულ ვარდი ამოდიოდა ცრემლით დანამუშლ ეკლიდან.

დაჯონდათ ასე იარად სამშობლოს დარდი უცვლელი,
ის ჯადოსნური კი არა, იყო ნაღდი და გულწრფელი.

დღეს მათ ყოფას და ხასიათს თუკი ფოლადის ფერი აქვს,
იქ თველით ნაშენ ბალავარს ალბათ ის ცრემლიც ერია.

ასე შემორჩენ ქვეყნას, ბედის და დროის ურჩები,
მტკვარს ახლაც მოაქვს თბილისში დარდი და ცრემლი
გურჯების.

2004 წ., საქართველო

ვერაიღნელ ქართველებს

თურმე არ ცხრება ტკივილი ძველი,
ფერეიდნელი დების და ძმების.
უსამშობლოდ მაინც ვერ ძლებენ
უცხო მიწაში ჩაყრილი ძელები.

რით მოვეფერო, ცრემლების გარდა,
თქვენი თვალები რით უნდა ვკოცნო.
ის წუთები და ზეიმი ჰგავდა
ნაღვერდალიდან ავარდნილ კოკონს.

თუმც არ გინახავთ ჯერ კიდევ თვალით
ქართული ცა და ქართული მიწა,

ქართული ენით დადიხართ მოვრალი
 და საქართველო სიზმრებად იქცა.

აღარ გჭირდებათ ფიცი და მტკიცი,
 ტელეეპრანზე ვიხილეთ ისიც,
 იცით დაკარგულ სამშობლოს ფასი,
 სამშობლოს ფასი თქვენ უფრო იცით.

ჩვენ რა ვქნათ, რითი ვიმართდოთ თავი,
 რითი გავუძლოთ დარდსა და სირცხვილს.
 თუმც საქართველოს პატრონი გვქვია,
 სათრევ-საჯიჯიგნი გამხდარა სხვისი.

მარტყოფს, ვაშლოვანს, სიბათს თუ უდეს,
 თქმენი იცნებით ცაში რომ მიღის,
 იმ საქართველოს დამეს რომ უთევთ,
 ვაგლახ, აქ ვიღაც გროშებად ყიდის!

თუმცა ბევრია მოყვარე ვერცხლის,
 თუმცა ბევრი გვყავს ცოცხალი მკვდარიც,
 გწამს, აინთება დიდგორის ცეცხლი,
 კვლავ ამდერდება დიდგორის ხმალი.

ვართ მომლოდინე უქეთეს დღეთა,
 გადაივლიან დღეები სიძვის,
 გვირაბის ბოლოს სინათლეს ვხედავთ,
 ვხედავთ მოყმესაც, ვეფხვთან რომ იბრძვის.

თქვენც არ ხცილდებით, ვითარცა ჯიქანს,
 ჩვენზე ფიქრს (თუმცა ჩვენ ვალში კი ვართ),
 მე ვენაცვალე თქვენს გულს და ჯიგარს,
 საქართველოსთვის ასე რომ გტკივათ.

2004 წ., 9-10 ივნისი

ამბროსი ხელაიას მიმართვა ჯალათებისადგი

სიმართლისათვის წამება არც ტანჯვა, არც ტკივილია.
 თუ სანთელივით არ იწვის, სიცოცხლე მხოლოდ ძილია.

რა სათქმელია სიკვდილი, ტალახ-ბალახის კერძებო,
 თუ არა ცაში, სულის ხსნა, აბა, სად უნდა ვეძებოთ.

წარმავალია ყოველი: ტახტი, გვირგვინი, ქონება,
 მამულზე დიდი პატრონი, აბა, კაცს ვინ ეყოლება.

ჩემი სხეულის წამებით ტყუილუბრალოდ დაშვრებით,
 რამდენიც უნდა ეცადოთ, მაინც მამულში დავრჩები.

სული თუ ღმერთის ხვედრია, გული სამშობლოს წილია,
 ღვთის და მამულის წილხვედრი ყველა სიცოცხლის შვილია.

რაკიდა ჩემი სიცოცხლე განგების ნებით ექურთხვის,
 ეს ჩემი სული უფასოს და გული სამშობლოს ექუთვნის.

2004 წ., ნოემბერი

ჩვენი ხითი და ხილაგი

სულის და სისხლის ყიფილი მოგვევება წვენ

იმთავითვე,

რომ არ გვიოდოდა ვახტანგი, არ იქნებოდა დავითი.

დღესაც რომ გვადიდგულებს და ვართ ამაყი და თამამი,
ვინ ამხევებდა ქეთევანს, თუ არა სისხლი თამარის.

დღესაც რომ ვუმზერთ იმედით, დღესაც რომ რწმენით
ვიგონებთ,
ვინ აქეზებდა ბასიანს, თუ არა სული დიდგორის.

დღესაც რომ ებრძვის ბადვაშებს, ფარნავაზ-ქუჯის მადლია,
კოხტაგორაზე მათი ხმა გულს უმაგრებდა დადიანს.

არ დაგვრჩნია არც ომი, არც ლხინი გადაუხდელი,
რომ არა ენა ქართული, არ იქნებოდა რუსთველი.

რომ არა სვეტიცხოველი, არ იქნებოდა სიონი,
არცადა ურუსთაველოდ – ვაჟა და გალაკტიონი.

არ ივიწყებდა სამშობლო არც არავის და არაფერს,
ის ცხრა ძმა ხერხეულიძე წვრთნიდა იმ სამას

არაგველს.

კრწანისთან თუკი დავდუმდით, კოჯორთან კვლავ
ავხმიანდით,
რომ არ გვიოდოდა ილია, არ იქნებოდა ზურაბი.

როდესაც მერაბს ეჭირა სამშობლოს დროშა გაშლილი,
ძარღვებში სისხლი უჩქვდა ქაქუცი წოლოყაშვილის.

ქართველი გოგო-ბიჭები ჯალათმა რომ არ დაინდო,
იმ ცხრა აპრილის კოცონი ცხრა მარტის ცეცხლით აინთო.

თავისუფლება ქართველის ოცნება და ტკივილია,
ვარდების რევოლუციაც იმ ცხრა აპრილის შვილია.

გულიდან გულში იღვრება, სისხლიდან სისხლში გადადის
სული შოთას და დავითის, დიდგორისა და მარაბდის.

ქვეყნისთვის ვიხარჯებოდით, სიცოცხლეს არ ვიპარავდით,
ასე ვიყავით, ამ რწმენით მივალთ სამარის კარამდევ-

ასე ვიყავით, ასე ვართ, ასე დავრჩებით ბოლომდე,
ისევ გულდაგულ დავხვდებით სიკეთეს და სიბოროტეს.

ჩვენი ჯიში და ჯილაგი, არა, არ გადაგვარდება,
გამარჯვებული სამშობლო ლაშარის გორზე დადგება!

2004 წ., 3-4 აპრილი

ცოტაც და ჯაჭვის განყდება

თუმც ჯერაც ამირანივით ბორკილებით ვართ დაბმული,
დღეს მაინც ვუმზერთ მომავალს სულ სხვა რწმენით
და სხვა გულით,

დღეს საქართველო არ არის შემცრობადი და
ქადაგის მინისტრის მიმართ მომავალს სულ სხვა რწმენით
არა ბატონის ხედს და ფეხს,
ვლოკავთ იმ რეინის ბორკილებს.

თუ ერთმანეთის ქიშპობა გულიდან გადავიგორებულიყოთ
თუ კუერთგულეთ სამშობლოს, იქნება ჩვენი დიდგორიც.

ვიყოთ მტკიცე და ამაყი დიდი დავითის სულივით,
მთავარი არის არ ჩაქვდეს თავისუფლების სურვილი.

რაჭიდა გულით ვიწამეთ, თავისუფლება ვისურვეთ,
ცოტაც და ჯაჭვიც გაწყდება, უკვე წკიპზეა მისული.

2004 წ., ოძგომბერი

„განყვეტილა“

ასე ეწოდება იმ მინდორს, სადაც აჯანყებულმა კახელებმა შემოსეული დამპყრობები გაწყვიტეს.

კოტე ჩოლობიაშვილი

ბევრი სისხლ-ოფლი დავდგარეთ, ბევრი დღე მოვივარამეთ,
მომხდეურიც ბევრი გაგწყვიტეთ და შინ მოხტომა ვანანეთ.

რადგანაც ბევრი ვაჟაცი სიკვდილმა გადაიყოლა,
გვაქვს „არიხილო“, „ცრემლის ტბა“, „მთამტირალა“ და
„მკვდრის გორა“.

მაგრამ გვაქვს „ამირანის მთაც“, „ქოხტაგორა“ და „საჩინო“,
„უფლისციხე“ და „ვარციხეც“ საქართველოს მტრებს
გაწვენოთ.

ვაჩვენოთ მზესთან მისული „მზეთამზია“ და „ცისია“,
ის „ზეპარიც“ და „კლდეპარიც“ ჩვენია, განა სხვისია.

ვაჩვენოთ „ჯვარი“, „ჯვარისა“, ვინც შურს და მტრობას გვითესავს,
ვაჩვენოთ „ამაღლება“ და „ნინოშვინდა“ და „ქრისტესა“.

და მაინც, ჩვენთან საუბარს მახვილით ვინც მოინდომებს,
ჩვენც აქ დავხვდებით დიდგორით და „გაწყვეტილას“
მინდორით.

2004 წ., 03 მაისი

შენ ცოტნეს გელი გქონია

ეძღვნება ეროვნულ გვირს, სამართლოში
და საზოგადო ურთისესობას.

უბრალო ბიჭი ეგონეთ, თურმე შობილხარ არწივად,
განალა მარტო მეგობრებს, გადაეფარე მთაწმინდას.

გადაეფარე დავითის და წინაპართა საფლავებს,
სამშობლოსათვის სიკვდილი შენ უკვდავებად ჩათვალე.

შენი ნებით და სიმტკიცით მომხდურმა ვერ ივერაგა,
შენ სიყვარული მამულის ტანს გეცვა ჯაჭვის პერანგად.

ქართველი მხედრის სახელი შენ დროშასავით ახწივ,
ჩვენი ბიჭების გულებიც მტრისთვის ნაღმებად აქცივ.

შენის სახელსა და შენის საფლავს თუმც დაჟურებენ
მდუმარედ,
თუკი დასჭირდა სამშობლოს, აფეთქდებიან უმაღვეს.



აჩვენებ, სამშობლოსათვის რას ნიშნავს თავის ფუნდირება, ნაღდი ვაჟაცის ხიცოცხლე განა სიკვდილით თავდება.

აქ განვლილ გზას და ცხოვრებას იქ წინაპრები წონიან, უბრალო ბიჭი გვეგონებ, შენ ცოტნებ გული გქონია.

2004 წ., აგვისტო

ორას წლის შემძებ ეღირსათ საქართველოსთვის სიკვდილი

ეძღვნება ხამაჩაბლობი დაღუაშლი
ძართვები ჯარისქაცხის ხეოვნას

ხომ ამბობს მემატიანე სიმართლეს, განა მოგონილს,
ხშირად ვიდექით დროშის ქვეშ არაბისა და მონლოდის.

ხან იყო დროშა კეისრის, ხან დროშა – იმპერატორის,
გაგლახ, დიდხანს არ ვყოფილვართ ხაკუთარ დროშის
პატრონი.

ბასიანი და დიდგორი, მარაბდა გვენატრებოდა,
ორასი წელი ქართველი სხვისი დროშის ქვეშ კვდებოდა.

ორას წელს ქართველ ჯარისკაცს მონობა პქონდა მისჯილი,
ორას წლის შემდეგ ედირსა საქართველოსთვის სიკვდილი.

რადგანაც იცის სამშობლომ ფასი დედობის მადლისა,
სამძიმარს ეტყვის თქმებს დედებს უკვდავი დედა ქართვლისა.

თუმცა იმათი სიცოცხლე აწი ცრემლი და დარდია,
თქვენი დედები ბიჭებო, მაინც ამაყად დადიან.

მცხეთაში ლადობს მახვილი ვახტანგის გამობრძმედილი,
ცხრა ძმა და არაგველები გულში გიკრავენ ძმებივით.

ხმალშემართული დავითი ისევ იმედით ივსება,
ისევე ფასი ედება თავდადებულის ლირსებას.

რადგანაც დროშა ფრიალებს გორგასალ-დავითიანის,
სამშობლოსათვის სიქვდილი არასდროს არის გვიანი.

2004 წ., 14 აგვისტო

თუკი სამშობლოს სიცოცხლე გვინდა

„როცა სამშობლო აღარ არსებობს,
დირსეული მოქალაქე უნდა მოკვდეს“.
ნაკრლეონი

თუ წინაპართა ნება არ მოგვევა,
თუ საქართველო ყვავ-ყორნებს შერჩათ,
თუ წვენზე ადრე სამშობლო მოკვდა,
მიწა კი არა, სიცხვილი შეგვჭამს.

ჯერ მოსაკლავი არა გვაქვს თავი,
სანამ ვახსენებთ დიდგორს და დავითს,
სანამ ცხინვალი და სანამ გალი
აღარ იღლება ბრძოლით და დავით.

სანამდე ჩვენში ქართველი დგდა
 მამულზე ფიქრით აკვანთან ათვეს,
 სანამ კრწანისთან ანდა ტამიშთან
 ვერ შეაშინებს სიკვდილი ქართველს.

სანამ ალგეთში ლუკუბი მგლისა
 ხმას იბოხებენ, ლესავენ ბრჭყალებს,
 სანამდე ვხედავთ იმედად ხსნისა
 ქართველ ბიჭების ანთებულ თვალებს.

სანამდე ჩვენი ქალიშვილები
 სიზმრად ხედავენ ცხრა შვილის აკვანს,
 სანამ ქართველი ხისხლით და ოფლით
 სამშობლოს მიწას მართლაც თავს აკლავს.

სანამ სახელი 300 უმისა
 წყალს არ გაჟყვება, დარჩება ქვიშალ,
 სანამ ხმა გვესმის ვახტანგის ხმლისა,
 ეს საქართველოს სიცოცხლეს ნიშნავს.

თუ ქართველები ვიქნებით ერთად,
 ქვეყნის ერთობის ჟამიც დადგება,
 თუკი ფსოუსთან ან თამარაშენთან
 არ დავინანებთ თავის დადებას.

უნდა გვერდიგვერდ და ერთად იდგეს
 ვეფხვიც და ვეფხვთან მებრძოლი მოყმეც,
 და თუ სამშობლოს სიცოცხლე გვინდა,
 სამშობლოსათვის ჩვენ უნდა მოგებდეთ!

2004 წ., ღმერთები

თუ გაიყიდა

რად იქცა ჩვენში ცრემლი ტბად, მარაბდა რისთვის
გასისხლდა,
რისთვის იბრძოლა ქართველმა, თუ საქართველო
გასხვისდა?

თუ საქართველოს უცხოთა მიწა და წყალი ერქმევა,
ვის დასჭირდება თევზორევ, ვინ გაიხსენებს ქვევანს?

თუ მოიშლება ქართული ოჯახი, კურა, სახლ-კარი,
თუ გაყიდიან ბაზალეთს, სად დაირწევა აკვანი?

თუ გაიყიდა დავითის და რუსთაველის გამზირი,
თუ არ ივლიან ბიჭები, „იავნანათი“ გაზრდილი.

თუ გაიყიდა მთა-გორი, ტყე-ჭალა, ველი, მინდორი,
ნიკორწმინდა და მთაწმინდა, კოხტაგორა და დიდგორი.

თუ გაიყიდა არაგვის წყალი, ალაზნის, რიონის,
რისთვის იცოცხლოს ქართველმა, ვისი მიწისთვის იომოს.

თუ გაიყიდა კრწანისი, სადაც სამასი გული ძგერს,
თუ რესტორნები დაადგეს ძეგლად ცხრა ხერხეულიძეს.

თუ გაიყიდა ქართული სოფელი, დაბა, ქალაქი,
ბეთანია და ვარძია, წინაპარო ძვალოშესალაგი,

რისთვის დაღვაროს სისხლ-ოფელი, ვისი და რისი ხსნისათვის,
ვისთვის იბრძოლოს ქართველმა, ვისი მიწის და
წყლისათვის?

თუ მტკრი შემოგვესია (ვატყობ, უომრად მოდიან), იცოდეს ყველამ, სამშობლო გაშლილი დახლი როდია.

თუმცა მამულში ქართველებს ბევრის სიხლი გვაქვს
დაღვრილი,
ქართულ მიწაში ბევრია მომხდურთა ძვლებიც ჩაყრილი.

წინაპართ სისხლი და ოფლი, არა, არ გაიყიდება,
რადგან სამშობლო ყველა დროს, ყველა თაობას სჭირდება.

თუ ვინმემ მაინც ისურვა, თუ ვინმემ მაინც ინება,
არ მოხვილდება მის სახელს,
მის მოდგმას წყველა-გინება.

ადრე თუ გეიან, სამშობლო ცოცხალს და მკვდარსაც
მიაგნებს,
გამყიდველებს და მყიდველებს თავის საზღაურს მიაგებს.

2004 წ., 03 მაისი

6 ეპივები

„ვეფხვები სხვის მოკლელ ნადირს არ ჭამენ“.
რამათანა

ზოგი ქართველის შემყურე, გული წუხილით ივსება,
ვაგლახ, რა ცოტას შემორჩა თურმე ვეფხვური დირსება.

არ აწუხებდათ არც ხალხი და არც სამშობლო მშიური,
და დადიოდნენ ნეფხვები ვეფხების რიხით და იერით.

როლს-როისებით, ფორდებით, კატარდა-ლაინერებით, ვნახეთ ხაზინის ქურდები, ვეფხვობას რომ იფერებდნენ.

აღარ იცოდნენ დანდობა არც ქვეყნის და არც მოყვარის, მილიონები მშიერ ხალხს, მშიერ სამშობლოს მოპარეს.

ვინც თავის წუთისოფელი ასე ნეფხურად გალია, – რა ვეფხვიც იყვნენ, ისეთი ხომ ერგოთ ბოლოს გალიაც.

კი, ჭამა პური სიმართლემ და სამართალმა ინება, – ის დოლარები, ლარები, დღეს ყელში რომ ეჩხირებათ,

საფასურია ცრემლების, პენსიონერთა ვედრების, შიმშილით მკვდარი ბავშვების, ძუძუგამშრალი დედების.

აფხაზეთშიაც ხომ ვნახეთ (ნაღდ ბიჭებს აღარ ვეხები), ხომ ჭამდნენ სხვების ნაოფლარს გაქურდებული ნეფხვები.

ანდა აბაშის, სენაკის ან წალენჯიხის აღებით, ხომ ვნახეთ სისხლში მოთხერილი ხალიჩები და ჭაღები.

დღესაც ხომ ვიცით, ხომ ვხედავთ, ვინ რა კაცია, რაც არი, დღესაც ხომ დადის ქართველი ქართველის სისხლით მაძღარი.

თუმც დღესაც ბევრი ასაღებს თავს ვეფხვებად და არწივად, არ სძინავს სანთელ-საკმეველს და არც სამართალს არ სძინავს.

ქვეყნის და ერის ღირსება განადა მართლა მკვდარია, მაღლობა უფალს, მამულში ნაღდი ვეფხვებიც არიან.

გიორგი ბარაძე – Georgia

ურჩხულთან ბრძოლა, ტანჯვა, წვალება,
გამოვლილი აქვს ეს ყველაფერი.
ო, როგორა პგავს წმინდა გიორგის
ჩემი სამშობლო, ხალხი და ერი.

2004 წ., 23 ნოემბერი

„ვეზეისტყარსანი“

უფლის ხელი რომ ერია,
არ მეტვება წამითაც.
ღმერთმა დაწერა, გვაჩუქა,
დაგვიტოვა და წავიდა.

2004 წ.

ღვინო და ქალი

„ღვინო და ქალი, რა აქვთ საერთო? – ორივე მათრობელაა“.
ლია ანდრულაძე
წიგნიდან: „ვაზის და ღვინის საგადოობელი“.

თუ დარდი მოგეძალება,
სულს მოსწყურდება გართობა,
მართლაც რადა სჯობს ღვინის სმას,
მზით და ცის ნამით დათრობას.

თუ სიყვარულმა ინება,
 ოქროს ბორკილი დაგადო,
 დვინით დათრობა რა არის,
 თუ ქალმა ეშხით დაგათრო.

საღაც ქალი და ლვინოა,
 იქ არის სიტყვით დათრობაც,
 ერთი ლამაზი ლექსისთვის
 ზოგჯერ სიცოცხლის დათმობა.

რადგან პოეტი ყოველთვის
 მთვრალია ქალით, ლვინითაც,
 გულს,
 ქალითა და ლვინით მთვრალს,
 ლექსის კვარცხლბეჭვნებე მიიტანს.

2004 წ., 03 მაისი

* * *

თუმცა წლებმა დამიჯაბნეს,
 გული თავისას არ იშლის.
 მზადა ვარ ისევ ვათიო
 დამე
 ლამაზი ქალისთვის.

მაგრამ დღეს, როცა ვიღვრები
 მათ წინ
 ფიციოთ და ფიცილიოთ,

ჩემს ქათინაურს ისმენენ
დიმილითა და სიცილით.

რა ვქნა და, ცუდად მენიშნა,
თუმცა არა ვარ მისანი,
ცოდიც რომ არ ეჭვიანობს,
არ არის კარგის ნიშანი.

2004 წ., 03 მაისი

* * *

ოქრო და ვერცხლი არ მინდა,
კვლავ სიყვარულით ამავსე.
რა არის კაცის სიცოცხლე,
თუ ქალი არ ალამაზებს.

ჩვენ ვინ ვართ, როცა ადამიაც,
თვითონვე უწყი, უფალო,
სამოთხეშიაც ვერ გაძლო
უსიყვარულოდ, უქალოდ.

2004 წ., ღებებბერი

ქალბათონებს

დოკუმენტი, გელეა ჩახავას,
ლიანა ახაშიანს

როგორც ნატო და ვერიკო,
როგორც მერი და მედეა,
თქვენი სიცოცხლე ქვეყნისთვის
საჩუქარი და ბედია.

თქვენს სიღამაზეს საწუთო
ასე უვლის და იფერებს,
ახლოს მოსვლას ვერ გიბედავთ
ვერც წლები და ვერც სიბერგ.

2004 წ., გაიხი

* * *

როცა ჰორიდან გიყურებ
ჭინჭილასავით ვიცლები,
შენს სახელსა და ლამაზ ყელს
შორიდან ველაციცები.

სხვისი ბალნარის ყვავილო,
აშ რა წყალობას ველი მე,
ისიც კარგია, ხანდახან
თვალს თუ წყალს დავალევინებ.

2004 წ., სამართლის
მინისტრი

სიმარტი

სად არის სიკვდილ-სიცოცხლის ნიშა,
თუ ეს ცხოვრება არის გაძლება, –
ვინ იცის, იქნებ სიზმარი ნიშნავს
ცოდვილ ქვეყნიდან სულის გაქცევას.

ვინ იცის, იქნებ სიზმარი ქაცის
თავისუფალი სულის ფიქრია,
იქნებ მიწიერ ბორკილებს გვაცლის,
იქნებ სიზმარი ცის ბილიკია.

იქნებ ვიცილებთ მიწიერ ფიქრებს
და ვცდილობთ ცაში სულის გაფენას,
სიზმარში ფრენით ვეჩვევით იქნებ
სიკვდილის შემდეგ ცაში გაფრენას.

2004 წ., იანვარი

* * *

არ მომასვენოთ, ფიქრებოთ,
ლექსებოთ, არ დამაძინოთ,
ოხრად არ დაგვრჩეს სამშობლო
და მტერი არ გავაცინოთ.

არ მენანები, სიცოცხლევ,
ქვეყნისთვის თუ იხარჯები,
თუ სამშობლოსთვის მოკვდები,
სამშობლოშივე დარჩები.

რადგან მამულზე ფიქრები
უნდა სიტყვებით შევჭრო,
არც, გულო, არ მენანები,
გულო, ლექსისგან შექმულო.

2004 წ., ნოემბერი

* * *

ყველას თავისი დარდი აქვს,
მე ჩემი მაღაპარაკებს.
ვეფხვის და მოყმის შემყურებ
ერთხელ ვერ გავიარაგვე.

ვაგლაბ! ამაო გამოდგა
ჩემი ლექსების წანწალი,
ვერ გახდა ერთი სტრიქონიც
ხალხური ლექსის წაწალი.

2004 წ., იანვარი

* * *

როცა ზნეობას ტალახს ესვრიან,
ლალობს სიბილწე ფაფარაშლილი.
როდესაც ლექსი და პოეზია
მიგდებულია ობოლ ბავშვიერით.

როცა ვუყერებ ჭამა-გართობას,
 დალატს, დაცემას, ქურდობ-ჩარჩობას,
 მომენატრება დვინით დათრობა
 და შემდეგ ლექსში თავის ჩახრჩობა.

2004 წ., 03 მაისი

ლექსი - პამიკაბე

თუ მართლა ნაფდი ლექსია,
 არა ყალბი და მლიქვნელი,
 სტრიქონი უნდა აფეთქდეს
 და ააფეთქოს მკოთხველიც.

2004 წ., სექტემბერი

* * *

თუ მიეჩვია მიწიერ ყოფას,
 ციურ ოცნებებს ცივად ჩაუვლის.
 პოეტის დიდხანს მიწაზე ყოფნა
 იქნება არის დანაშაული.

დიდხანს სიცოცხლე თურმე პგავს წყვევლას,
 თუ მისი სული დადის ირაოდ.
 პოეტი უნდა მოვიდეს ელვად
 და ქახილივით გადაიაროს.

2004 წ., 03 მაისი

აუხსენელია აქამდე

აუხსენელია ქარაგმა ქოხის და მეფის დარბაზის,
 ლექსს წერდა ხაიამი და ლექსს წერდა თვით შაჰ-აბასიც.

ძლიერი ამა ქვეყნისა ლექსთან ჰიდილში რად წვალობს,
 რად სწყალობს ყაჩად ვიოონს, ლუდოვიკოს კი არ სწყალობს.

თუ არ ცნობს ლექსი ტირანებს და ნებას იმპერატორის,
 რად სწყალობს პოეტს, რომელიც არ არის გროშის პატრონი.

ნებავ რა ჯადო-თილისმა ანდა რა მადლი აცხია,
 ტირანები და მეფენიც თავის მონად რომ აქცია.

რა ძალა აქვს და რა ხიბლი, ვერ აუხსნია ვერავის,
 რადგან მგოსნები სტრიქონებს სისხლით და ცრემლით
 კერავენ.

რადგან პოეტის სიცოცხლე გზა არის ჯვარის ატანის,
 პოეტი ღმერთის წილია, ტირანი კიდევ – სატანის.

მეფის იმედი ტახტია, მგოსნის ხალხი და ერია,
 ღრომ გაიყოლა მეფენი, რუსთაველს ვერ მოერია.

სხვაა ტახტი და გვირგვინი, სხვაა პოეტის ამქარი,
 გაქრნენ ცეკა და ტეკანი, გალაქტიონი აქ არი.

გადარჩნენ სიტყვის მეფენი, ტახტის მეფენი განქარდნენ
 და საიდუმლო ლექსისა აუხსენელია აქამდე.

2004 წ., საქართველო

62 გაიგებები

ზოგიერთი ახალგაზრდა წინა თაობის
კონცენტრაცია აუგად მოიხსენია

გოლგოთის გზაზე გავლილ პოეტებს
ნუ გაიმეტებთ ასე იოლად.
ბევრი შეაკვდა იმ სიბოროტეს,
ბევრმა საკუთარ თავთან იომა.

რომ არა ჟამი, დრო მოწამლული,
ადამიანის სულის ამკლები,
არც სიყვარული აკლდათ მამულის,
არც ნიჭი პქონდათ სხვაზე ნაკლები.

მატადორები წითელ მოედნის,
იმ კორიდაზე ბევრი ეწამა.
გაგლას, რამდენი ნაღდი პოეტი
იმ ტირანის წლებმა შეჭამა.

კი, მართალი ხართ, არის მართალი,
ზოგი ნამდვილად გულით მდეროდა,
იმ დროისა და იმ სამართალის
(ზოგს აჯერებდნენ), ზოგსაც სჯეროდა.

დღეს ადვილია შორით ყურება
იმ სიავის და იმ სიბოროტის,
კი, იყო მათი უბედურება,
იმ სიცრუეს რომ შერჩნენ ბოლომდე.

მაგრამ ხომ იყო „ლექსი მეწყერიც“.
 „დაგორებული თავი“ პოეტის,
 თამაში ბედის თუ ბედისწერის,
 სავსე ტანჯვით და ამაოებით.

ზოგსაც ბორკილი ედო ენაზე,
 გიფის ხალათი ისე ჩააცვეს.
 რომ არ ეხილათ სახრჩობელაზე,
 ბევრი სტრიქონი ცრემლში ჩაახრჩვეს.

მონის გაჩენა ადარ ინდომეს
 და გააყოლეს სული იმედებს.
 ბევრი სტრიქონი მოკლეს თვითონვე
 და საწამებლად არ გაიმეტეს.

მაღლობა უფალს, არ მოგიწიათ
 იმ გოლგოთაზე ჯვარის ატანა,
 საკუთარ თავზე რომ არ იწვნიეთ
 ის დრო კაენის,
 ჟამი სატანის.

დღეს იქნებ მათი ჟინი გამაღლებო,
 იმ უსიმდეროდ მოკლულ გედების,
 თქვენი სილადე და სიამაყე
 იქნებ სულია იმ პოეტების.

თუმც წასულია, თუმც წარსულია,
 იქნებ იქიდან მოდის ფესვები,
 იქნებ იმ მოკლულ ლექსის სულია
 დღეს სითამამე თქვენი ლექსების.

2004 წ., სამარტინი

* * *

წლები და ტოლ-მეგობრები
 გაფრინდნენ, როგორც ჩიტები.
 ასე მგონია, ამქვეყნად
 უპყე არავის ვჭირდები.

წლებმა მეც გამონაპირეს
 და ბინდისფერად მიდიან.
 ვატყობ, გაფრენას აპირებს,
 ალბათ ის ჩემი ჩიტია.

2004 წ., დეკემბერი

მაღლობელი ვარ, სიცოცხლევი

„ვიცინი, ადარ ვხტირი მე“.
აპატი წერეთელი

„მაშ, გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლევ“.
ტიციან აკაძე

თუმც სტუმარი ვარ ამ ქვეყნის, განა ვწუხვარ და
ვტირი მე,
მადლობელი ვარ სიცოცხლევ, სიცოცხლევ, შენი ჭირიმე.

რომ დამანახვე მთვარე, მზე და ცისარტყელის ფერები,
ბეთანიას და ალავერდს, ვარძიას რომ ვეფერები.

მადლობელი ვარ, სიცოცხლევ, ამქვეყნად რომ გამაჩინე,
რომ დამანახვე გელათი, სევტიცხოველი მაჩვენე.

რომ ვნახე წიგნი რუსთველის, მართლაცდა
ლმერთის წყალობა,
რომ ვნახე ცემა „ქართული“ და ვისმენ
ქართულ გალობას.

შენი ჭირიმე, სიცოცხლევ, ლუქსის მონად რომ მაქციე,
რომ დამამტერე სამშობლოს ორგულს, ბოროტს და
მაწრიელს.

ბევრი ლამაზი ოცნება თუმც წლებმა არ შეიცოდეს,
„კა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“ ხომ დამანახვე,
სიცოცხლევ.



თუმც გული ბევრჯერ მატკინეს და დარდი ცრემლების
მაწვიძედა,
ხომ შემახედე მყინვარწვერს, ხომ დამანახვე მთაწმინდა.

მუხტალმა წუთისოფელმა თუმც ბევრჯვრ კბილით
მათრია,
ლამაზ გოგოზე ოცნებით დამეც ხომ ბევრჯერ ვათიე.

მაღლობელი ვარ, სიცოცხლევ, სული რომ გამიარაგვე,
რომ გამაჩინე ქართველად, ქართულად მაღაპარაქებ.

თუმცა სიკვდილის შვილი ვარ, განა ვწუხვარ და
ვტირი მე,
შენ გენაცვალე, სიცოცხლევ, სიცოცხლევ, შენი ჭირიმე!

2004 წ., აპრილი

ՖՈԼԻ

2003

ՎԵՐԱ

ՖՈԼԻ

აოცებს მინდორს ღიღგორის

სად არის სინდის-ნამუხი
 ან სამართალი სად არი?
 დღეს დიდგორობას ზეიმობს
 დამარცხებული „სარდალი“.
 აოცებს მინდორს დიდგორის
 მისი სიტყვა და ქცევანი,
 თავს ადრის აღმაშენებულს,
 სამშობლოს დამაქცევარი.

2003 წ., სექტემბერი

თურმე

„ღმერთმა გიშველოს, სიკედილო,
 სიცოცხლე შვენობს შენითა...“
 გაშა-უშაბელა

თურმე რამდენი კაი ყმა იყო სიკედილის იმედად,
 როცა სიცოცხლეს თმობდა და სამშობლო არ გაიმეტა.

თურმე მიმწუხრის ქამისას, როცა სულს ხორცი ეყრება,
 ლამაზ სიცოცხლეს სიკედილით სამოთხის კარი ედება.

ვადიდებ ყველა კაი ყმას, მაგრამ სხვა შექი აღგება
 ისეთ სახელს და სიცოცხლეს, სიკედილით რომ იბადება.

ქვეუჩად სხვა ფასი ედება იმ სიბრძნეს, იმ სიმამაცეს,
 როცა სიკედილთან ჰიდილში სიცოცხლე სიკედილს
 ამარცხებს.

2003 წ., გარტი

ვინაც ჩემი ძაგებით ერთ დროს გული იჯერეს,
დღეს საქვეყნოდ მადიდებს და ჩემს სახელს იჩემებს.

ახლა წმინდანს მიწოდებს, ვინც ტალახი შემასხა,
ის, ვინც ტყვიას მესროდა ანდა შხამი შემასვა.

მაგრამ ვიცი, კარგად ვცნობ ფარისეველთ სახელებს,
ჩემს სახელს ნუ აფარებთ თქვენს უწმინდურ სახელებს.

ნურც ორგულნი ნუ იმკით ჩემს დათეხილ სიკეთეს,
ჩემს თავს მევე მოვუვლი, თქვენს თავს თვითონ მიხედვთ.

თუკი მართლა გულით გსურთ, თუ ვინმეს გაქვთ სათქმელი,
თქვით და იღაპარაკეთ მხოლოდ თქვენი სახელით.

საფლავშიაც კი მიჭირს ზოგჯერ იმის ატანა,
რომ ჩემს დროშას ხელს ჰქიდებს ზოგჯერ თვითონ
სატანაც.

ჩემს სახელს ნუ ახსენებს, ჩემს დროშას ნუ ატარებს,
ვინც თავს სასახლეებს და იუდას კარს აფარებს.

იმათთან ვარ, ვინც მამულს უდგას ქედით უხრელით,
ვისაც ხვალის იმედით მიაქვს ქვეყნის უდელი,

წარამარა არ იცვლის რწმენასა და გუნებას,
ვინც გოლგოთის გზას ადგას, უძლებს ვერცხლის ცდუნებას,

ვინც მშიერი, მწყურვალი, ქარში, თოვლში, წვიმაში
 დგას და აღარ იჩოქებს ერის მტრების წინაშე.

ვერ მოკლავენ ქართულ სულს, ნიჭს და გამბედაობას,
 მოვა საქართველოში სხვა დრო და სხვა თაობა.

დადვრილ სისხლს და დადვრილ ოფლს მისხალ-მისხალ
 აწონის,
 სამშობლო და ხალხია ჩემი მსაჯულ-პატრონი.

2003 წ., ოძროშვილი

ვარიაციები სიკვდილე

I

გეგე დიმიტრი მავრადეგულის დახარ ურდოვი

მტერს თავის ქვეყნის სანაცვლოდ ტახტს და სიცოცხლეს
 არ სოხოვდა,
 თავს სჭრიდნენ, რადგან სამშობლოს ცოცხალი თავით არ
 მომდდა.

აღარ მისულა ურდოში არც შიშით და არც სიფრთხილით,
 ენანებოდა სიკვდილსაც თურმე კაი ყმის სიკვდილი.
 ქვეყნისთვის თავდადებული, ერისთვის სიკვდილმისჯილი,
 იყო ამაყი, უტეხი, ვითარც სამშობლოს ქვიტკირი
 და დარცხუენილი გარბოდა შეშინებული სიკვდილი.

როცა ქვეყნისთვის ცოცხლობენ, სამშობლოსათვის კვდებიან,
 ვაშკაცებისთვის სიკვდილიც უკვდავება და ძეგლია.

საგვარეულოს მოღალატე, გამისა და მზის გკვდული
კონსტანტინე /მიხელ/ ძართვებისა და ტანტიდან
ჩამოაგდეს და ხმლით აძლევს.

ვინც სული გაისატანა (ფურ ეშმაქს და არული),
ვინც არ ისურვა სამშობლოს შვილობა და სიყვარული,
ერთი სიკვდილით არ კვდება, სიკვდილიც ზიზღით გარს
უვდის,
ყოველდღე კვდება, იხრჩობა სისხლში მამის და მამულის.
თავის ხალხსა და ქვეყანას ვინც მეფის ტახტი არჩია,
მოკვდა და საქართველოში საფლავიც არ გააჩნია.

III

ბევრის გვარსა და სახელებს, დღეებს, წლებსა თუ
თარიღებს
სანატრელი აქვთ სიკვდილი, მაგრამ სიკვდილიც არ იღებს.
ქართული მიწაც არ იღებს ქვეყნის და ერის მოძულებს,
ქართველებს საქართველოში – ტყვით და სისხლით
მოსულებს.

2003 წ., ნოემბერი

ბარაბას გგა

I.

როცა ჩვენივე სიბრიუვით
უფალს ბარაბა ვარჩიეთ,
სამშობლოზე ფიქრს ნელ-ნელა,
ვატყობ, რომ გადაგვაჩვიეს.
რისი ხალხი და ქვეყანა,
მტკუან-მართალის გარჩევა,
ვწვალობთ, ვჯახირობთ საქუთარ
სიცოცხლის გადახარჩენად.

II.

ხომ კარგად ვნახეთ, რაც მოჰყვა
ბარაბას გზას და არჩევანს,
გაჭირდა, ძალზე გაჭირდა
ამქეუყნად კაცად დარჩენა.
ამდენმა შურმა, ღალატმა,
ხომ ვხედავთ, რაც მოგვიტანა.
გაჭირდა გუბოს კარამდე
კაცურად თავის მიტანა.

III.

ამაო არის ღალატზე,
ორგულობაზე დაღადი,
სამშობლო
რა სათქმელია,
უფალხაც კი უდალატეს.

სიბოროტე და სიკეთე,
 ვაგლახ, პვლავ ერთად ივლიან,
 კაენიცა და აბელიც
 ხომ ერთი მამის შვილია.

2003 წ., 03 მაისი

* * *

როცა სამშობლო გმინავს და ოხრავს,
 როცა ქვეყანა დგას ბეჭვის ხილზე,
 დუმილი სულაც არ არის ოქრო,
 დუმილი სულაც არ ნიშნავს სიბრძნეს.

როცა გვჭირდება ჰეჭა და ძალა,
 დროა ბრძოლის და სიმართლის თქმისა,
 დუმილით ბევრი სიბრიყვეს მაღავს,
 ბევრის დუმილიც სილაჩრეს ნიშნავს.

2003 წ., 05 ნოემბრი

* * *

ვინც ქართველობა აღარ ინება
 და სამშობლოსთვის იქცნენ გერებად,
 ვისაც არ უნდა და ერცხვინება
 ეროვნება და მამის ხსენება,

აბა, რას ვერჩი ბავშვებს სინჯარის,
მაგრამ ეს ჩვენი ცოდვის შვილები,
როცა ვუყურებ,

ასე მგონია, —
სინჯარებშია გამოზრდილები.

2003 წ., 03 მაისი

* * *

თუ მოუმრავლდა ქვეყანას
ცვედანები და ლაჩრები,
არათუ უსამშობლოოდ —
უსაფლავოდაც დავრჩებით.

2003 წ., 03 მაისი

* * *

დაჩოქებული ჩვენი ქვეყანა
ფეხზე ვერახდოს ვედარ დადგება,
თუ ერთხელ მაინც აღარ ვისურვეთ
სამშობლოსათვის თავის დადება.

ვინ გაქცევია, ჩვენ რომ გავაქცეთ
ქვეყნის ვალსა თუ ბედის განაჩენს,
ერთხელ ჩვენც უნდა მოვკვდეთ დიდგორთან,
ჩვენი სამშობლო თუ გვსურს გადარჩეს.

თუ გვინდა ჩვენი სულიც გადარჩეს,
 რადგან სიცოცხლე არის წამისა,
 უნდა მივიღეთ კოხტაგორასთან
 და სამშობლოსთვის თაფლი წავისვათ.

2003 წ., თბილი

ემერ მგალობლიშვილს

მგალობელთა გვარისა ხარ, წესით, უნდა გეგალობა,
 მაგრამ მამულს რომ დასჭირდა სხვა გარჯა და სხვა
 ქალობა,

ჩონგურის და ქნარის ნაცვლად ხელში იღებ ქართულ
 დროშას,
 ქართველ ქალს და ქართველ დედას ქართვლის დედის
 მადლი გმოსავს.

იქნევ დროშას, როგორც მახვილს, ქართულ დროშას დაბლა
 არ ხრი
 და მიპყვები გულუშიშრად წინაპართა ხმას და მახილს.

კარგ მუკდლეს და კარგ დედას, ტვირთიც გერგო დედაქაცის,
 შენს რწმენას და შენს სამშობლოს არც პურზე, არც
 ვერცხლზე არ ცვდი.

სულითა და სახით ლამაზე, ბარიქადზე დგომაც გშვენის,
 შვილმაც, ქმარმაც და კოლხეთმაც იამაყონ უნდა შენით.



თუმც მგალობელთ გვარისა ხარ, ახლა უფრო ბრძოლის
დროა,

მაგრამ მჯერა, ჩემო დაო, ის ჟამი და ის დროც მოვა,

როცა ღმერთი თავისუფალ საქართველოს გვიწყალობებს,
აი, მაშინ იმდერე და აი, მაშინ იგალობე

მანამდე კი კიდევ ბევრი ხიფათი და ბრძოლა გელის,
რადგან გზას და ქვალს მიპყვები წყნეთელის და

წავკისელის.

2003 წ., ნოემბერი

ეფრე სასტიკი ყოველა

უფრო სასტიკი ყოველა
ცხოვრება,

ვიდრე მეგონა,
ეტოვებ და ვკარგავ გზადაგზა,
ბევრ ახლობელს და მეგობარს.

ზოგს დამაცილა სიკვდილმა,
ზოგს – ავმა დრომ და ცხოვრებამ.
ცოცხლებს რა ვუყო, თორემ მკვდრებს
არ ვაკლებ ცრემლს და ცხონებას.

ცრემლი და წესილ-გოდება,
აბა, დღეს ვინ გაიკვირვოს,
მაგრამ მაინც ვერ გავიგე,
რომელი უნდა ვიტირო.

რომელი უფრო მწარეა,
მიჭირს რომელის დანახვა,
ვინც მიწამ გაითავისა
თუ ბოლმა-მტრობამ დამარხა.

არ მემეტება არც ერთი,
კტირი იმათ და ამათაც,
მათ, ვინც ცოცხალი დავქარგე
და ვინც სიკვდილმა წამართვა.

2003 წ., აგვისტო

ბათუმის მონატრება

ხანდახან ისე მომენატრება,
მომენატრება ციან-მიწიან...
იქ დარჩენილი ჩემი დღეები
მეძახიან და ხელებს მიწვდიან.

ახალგაზრდობის წლები წანწალით
ნაცნობ ადგილებს ისევ დაივლის.
ბათუმი, ჩემი ფიქრის წაწალი,
ჩემი ლამაზი წლების ყვავილი.

2003 წ., ივლისი

უამისამართო ლექსი

მადლობა ყველას, ვინც კი მიყვარდით,
 ვინც მინათებდით გულს და გონებას,
 ვისი სახე და ვისი სახელიც
 ვაქციე ლექსად და სტრიქონებად.

მადლობა ყველას, ვისზე ოცნებით
 ღამე ოხერით და დარდით ვათიქ,
 ვინც არ ისურვეთ, არ შემიყვარეთ,
 მაწანწალეთ და კბილით მათრიქ.

ოღონდ, იცოდეთ, როცა მიყვარდით,
 იყო ეს გული სუფთა ფურცელი,
 ჩემი სიტყვა და ჩემი ლექსები
 იყო მართალი, იყო გულწრფელი.

როცა მიყვარდით, გულით მიყვარდით,
 თუკი გაქებდით, გულით გაქებდით,
 თქვენი ნებით და თქვენი წყალობით
 ცაში ოცნების კოშკებს ვაგებდი.

თქვენი ნახვა და თქვენთან შეხვედრა,
 ეს იყო ჩემთვის მართლაც ცხონება,
 თქვენი სიცოცხლით და სილამაზით
 ლაშაზდებოდა ჩემი ცხოვრებაც.

მაგრამ გაჩგებამ თუ ბედისწერამ
 რაკი სხვა გზა და ბედი იჩება,

თუ უნგბურად გული გატკინეთ,
გთხოვთ შენდობას და გთხოვთ პატივებას.

სიჭაბუკის თუ წლები ბავშვობის,
ხან სასაცილო, ხან საქილიკო,
ო, როგორ მინდა, ჩემო კარგებო,
დღეს ყვავილებად ჩამოგირიგოთ.

სხვა რა ვისურვო, სხვა რა ვინდომო,
მადლობელი ვარ ახლა ამაზეც,
ამ ფიქრებით და ამ მოგონებით
სიბერის სიზმრებს რომ მიღამაზებთ.

2003 წ., იძთობბერი

* * *

წუთისოფელი წუთია,
ჩვენი აქ ყოფნა რაკია წუთი,
სხვა რომ გვატყუებს, –
ცედია,
თავს თუ ვატყუებთ, –
ძალიან ცედი.

2003 წ., აბვისტო

* * *

რადგან სიცოცხლე ქაცისა
სიკვდილთან ბრძოლის ჟინია,
სიკვდილის – არა,
სიბერის,
სიბერის კი მეშინია.

2003 წ. 03 მაისი

პრეზი - მგე

„განა არა გავს მგოსანი მზეს“.
გალაქტოორნი

ქართული სულიოთ, სიტყვიოთ და დროშიოთ,
ნიჭიოთ, სინდისიოთ, პატიოსნებიოთ,
იყო დრო, როცა საქართველოში
მართლაც მზეს პგავდნენ ქვეყნის მგოსნები...

კვლავ ვნახავთ ვეფხვის ტყავით შემოსილს,
რესთველის სიტყვას ამაყს, ჯიშიანს,
დრუბლიანი ცა საქართველოსი
მზე-პოეტების მოლოდინშია.

2003 წ., 03 მაისი

პარდების პარნავალი

I.

ყველა ვარდი არის ვარდი
 და ყველა ვარდს უნდა ქება,
 მაგრამ რა ვქნა, ცოტა შშურს და
 ცოტა კიდევ გული მწყდება.

გული მწყდება, როცა ვხედავ
 და სახელებს ვისმენ უჩვევს.
 არის ვარდი „ოფელია“,
 არის ვარდი „მაღამ ბუშე“.

არის ვარდი „ქანა ხილლი“,
 „აიდა“ და „კლიმენტინა“.
 მომწონს ყველა ვარდი, მაგრამ
 რა ვქნა, მაინც გული მტკიგა.

II.

რატომ არ გვაქვს ჩვენთა დღეთა
 იმედი და რწმენა ხვალის,
 ვარდი „ნინო“ და „თამარი“,
 ან „ქეთევან დედოფალი“.

ქართველ ქალთა სილამაზე,
 ხომ იდითგან ზღაპარ იყო,
 მაშინ, რატომ არ გვაქვს ვარდი
 ან „მედეა“, ან „ვერიქო“.

არ აკლიათ ქართველ ქალებს
 იისა და ვარდის ფერი,
 მაშინ, რატომ, რატომ არ გვაქვს
 ვარდი „ნატო“, ვარდი „მერი“.

2003 წ., იძტომბერი

შიქრის პორა

ბაგონ მიხეილ ჭიათურელს ქალბატონ
 ვერიკო ანჯაფარიძისთვის უთქვამს: სადაც
 პირველად გაკოცე, იქ სახლს აგიშენებო
 და აუშენა კიდევ.

არ სცილდება გული გულს და
 არ სცილდება ბაგე ბაგეს,
 სიყვარული ბროლის კოშკებს,
 ოქროს სასახლეებს აგებს.

ახლა, როცა შორით ვუმზერ,
 იმ დიდ გრძნობას უფრო ვაქებ,
 „ფიქრის გორას“ სიყვარულის
 და მიჯნურთა ქალაქს ვარქმევ.

მათი სული ისევ მდერის,
 მათი გულის ფეთქვაც გვესმის,
 არ კვდებიან სიყვარულის
 და ოცნების სასახლეში.

2003 წ., იძტომბერი

ეფრო და ეფრო პლიტები

„წახვლა სჯობს წარმავალისა,
არ დაყოვნება ხანისა?“
შოთა რუსთაველი

ჩემი უაზრო ცხოვრებით უფრო და უფრო კლონდები.
იქნება წახვლის დრო არის, იქნებ ამაოდ კუოვნდები.

როცა ხალხსა და ქვეყანას უჭირს და უმძიმს ძალიან,
ეტყობა, ჩვენი სიცოცხლე ქვიშა კი არა, წყალია.

აღარ მცილდება ფიქრები, მწარე ნაღველის ამშლელი,
ჩემი აქ ყოფნით სამშობლოს რა ვარგე ანდა რას ვშევლი.

სანამდე უნდა გჟურო ქეყნის მტრებსა და გარეწრებს,
ეტყობა, ჩემი წილხვედრი სამკალი ვეღარ გავლენა.

რადგან ვერ ვნახე მამული ლაღი და სახემცინარი,
ვიღას სჭირდება ეს ჩემი ნაჯახირ-ნაცოდვილარი.

არც ჩემი წახვლა-დარჩენა სხვისი სარჩევი არ არის,
მოსვლა არავის უკითხავს, არც წახვლას ვკითხავ არავის.

2003 წ., იძტომბერი

სპარავა

2007 წელი.	3
ქართველები.	5
„ვინც დედაენას დაიგინებებს, დამტირებელსაც დავიწყებია“	6
თუ სისხლმა აღარ იყივლა, თუ გული არ ჩაერია.	7
ჭის ებრძოდენენ, რას ებრძვიან საქართველოს მტრები.	8
არ შეიფარებს სამშობლო.	10
მიწა ფიცვერცხლით შეჭმული.	11
სანამდე უნდა ვითმინოთ.	12
მსაჯული დრო და წლებია.	13
ზეიად გამსახურდისა დაბრუნება სამშობლოში.	14
პერიფრაზი „ვეფხისტყაოსნიდან“.	14
გამარჯვებული ქართველი – ამაყი საქართველოა.	15
ქართვლის დედებო.	16
მოსალოც-მოსაფერები.	18
* * * არის დალატი და არის ცოდვა.	19
* * * ასე მჯერა და ვიწამე.	19
* * * დგება ჭამი ბოლმიანი.	19
* * * არც კაცი ვარგა უმტერო.	20
* * * ხომ იდგა საქართველოში.	20
* * * იყო დრო, როცა ბრიუნი კაცობდა.	21
სახელის შოუნა გახდა ძღვილი.	21
* * * ბევრჯერ გამტყდარი და გაბზარული.	22
* * * ის დღე სამშობლოს დალატს ჰგავს.	23
* * * არ მჭირდება სხვა რამ განძი.	24
* * * ჩემი ბებერი სიცოცხლე.	24
* * * წესილით და დარდითა ვარ, მართლაც, ხავხე ყელამდე.	25
მეც უნდა ვზიდო ჩემი ჭაპანი.	25
დედა – მიწა.	26
ცახ ხომ არა აქვს საზღვარი.	27
მზის ამოსვლა საქართველოში.	28
* * * ჩანს, კლება ბოლო ლოდინს.	29
როცა შეკლივართ „ვეროში“.	29
„ეგრე არ არის, კახაო, შენ რომ მამული გაფაო!“	30
ვინ როდის ჩაირცხება.	31

ელიტა	34
* * * რას ველოდი და რას ვიმკი	34
* * * სხვაგან არ ვიცი რა ხდება	34
პოეტი	35
ფიქტები გალაქტიონზე	35
* * * ეს ცხოვრება არის ფარსი	36
* * * გავუძლებ ყველა ჭირსა და ვარამს	36
* * * როცა კარგ ლუქსებს ვეითხელობ	36
* * * ის, ვინც სიბერეს დასცინის	37
* * * კარგად ვხედავთ ბევრის სურვილს	38
სულის ტკივილი	39
თუ შენი ქვეყნის ერთგული გქვია	40
 2006 წელი	41
 სამშობლოს ვალი	43
* * * „რა ქართველი ხარ“?	44
შუმერი	45
მათი სახელი	47
ვენაცვალე მე იმ ქართველს	48
ის არის ნაღდი ქართველი	49
იცილებს ბორკილებს	50
* * * ჩემი სურვილი ასეა მოქლედ	51
მეც რეზერვისტად ჩამოგალეთ	51
კოდორის ხეობა	52
ცოცხალია თუ მჯდარია	52
ამირან კალაბის გახსენება	53
გელა ნიკურაძებ	54
ხაღლს რა სიკეთეს მოუტანს	54
მართლაცდა რაღა გამოლექს	56
ჩემი ხალხია ჩემი პარტია	57
* * * გულს ნუ გაგიტეს დღეს გულგრილობა	57
* * * მე თუ გამუშმდი, შენ თუ გაჩუშმდი	58
* * * თუ მისთვის სისხლი ალარ დაღვარე	59
არ ქმარა მარტო წარსულზე ფიქრი	59
* * * ველარ ვხედავ სიხარულის მიზეზს	60
კახეთის გზაზე ნათქვამი ლექსი	61
* * * ვხედავთ დღეს დროშის დიდგორის	62

* * * ბახიანი და ველი დიდგორის.	63
* * * ჩემი სიცოცხლის დღეებო.	63
* * * ჩემო ბედო და ჩემო იმედო.	64
მთვარე.	64
პალესტინის ცა.	65
ცირკის ვეფხვი.	66
* * * სულ სხვა დროა და სულ სხვა ხმებია.	66
„მე საყოველთაო ენას ვეძებ“.	67
* * * სხვა არაფერი, სიბერის მეტი.	68
* * * ენა, ხამშობლო და დუჭხით.	68
* * * თუ ბედისწერამ ახე ინება.	69
* * * სხვისთვის არც იხე ლამაზ-კარგებო.	69
ქართული სიტყვა.	70
* * * როცა, ღვთის ნებით, ამ ქვეყანაზე.	71
* * * სახაცილოა ეს ბაქიბუქი.	71
რა, რა იქნები სიკვდილის მერვ.	72
* * * გაუდის ყავლი სახელს და გვარებს.	73
მე ახე მჯერა.	73
* * * ცვივა ფოთოლი ჩეენი თაობის.	74
გაზაფხული რომ დადგება.	75
ვარდების გამყიდველი.	75
ყველა ქალი ლამაზია.	76
* * * ოცნებები ურთებს რომ გაშლის.	77
იუო მშვენება.	78
2005 წლი	79
არ ექუთვნის ხამშობლო ერთ დროს და ერთ თაობას.	81
ძველი ქართული იარაღების გამოფენა ქარვასლაში.	82
კაი ჭმა.	83
ამორდალი.	84
ჩვენებურები.	86
ქართული სული კლავდი იმ ჩოხა-ახალუხიდან.	87
შენი ლექსები შენი ძველია.	88
* * * სტალინი მოკვდა, ილია მოკლეს.	90
* * * ერთმანეთის შური, მტრობა.	90
* * * საქართველოში სინდისის გარდა.	91
ხამშობლოვ ჩემო.	91

მზერო, არ შეგიშინდები.	92
თბილისს.	92
* * * როცა ვუყურებ, მე ახე მესმის.	93
* * * არა, არ ელტვოდა კარიერას.	93
წარწერა ეთერ თათარაიძის წიგნზე.	94
სენაკი.	95
ჩემი ქორიძა.	96
პოეტის ტკივილი.	97
ლალატი.	97
დღეს პოეტები თავს არ იკლიავნ.	98
პოეტ დავით მჭედლურის ხსოვნას.	99
მფრინავი პოლანდიელი.	99
* * * როდესაც გული გულს უგებს.	100
შემოდგომის ვარდები.	100
* * * ოცნებების გარეშე.	102
* * * ისევ მინდა სიყვარულს.	102
* * * სანამ ჯერ კოდვე აქა ვარ.	103
* * * სიყვარულში რომ ვერ დავარწმუნებ.	104
* * * იქნებ არის ოცნება.	105
* * * სხვისი არ ვიცი, მე კი ვარ.	105
 2004 წელი	107
 დოლის პური.	109
ცრემლი და დარდი გურჯების.	110
ფერედნელ ქართველებს.	111
ამბროსი ხელაიას მიმართვა ჯალათებისადმი.	113
ჩვენი ჯიში და ჯილაგი.	114
ცოტაც და ჯაჭვიც გაწედება.	115
„გაწყვეტილა“.	116
შენ ცოტნებ გული გქონია.	117
ორას წლის შემდეგ ედირსათ ხაქართველოსთვის სიკვდილი.	118
თუკი სამშობლოს სიცოცხლე გვინდა.	119
თუ გაიყიდა.	121
ნეფხვები.	122
გიორგობა-Georgia.	124
„გეფხისტებისანი“.	124
დვინო და ქალი.	124

* * * თუმცა წლებშია დამიჯაბნეს.	125
* * * ოქრო და ვერცხლი არ მინდა.	126
ქალბატონებს.	127
* * * როცა შორიდან გიყურებ.	127
ხიზმარი.	128
* * * არ მომასვენოთ, ფიქრებო.	128
* * * ჭველას თავისი დარდი აქვს.	129
* * * როცა ზნეობას ტალას ეხვრიან.	129
ლექსი – კამიკაძე.	130
* * * თუ მიტჩია მიწიერ ყოფას.	130
აუხსნელია აქამდე.	131
ნუ გაიმეტებო.	132
* * * წლები და ტოლ-მეგობრები.	134
მაღლობელი ვარ, ხიცოცხლევ.	135
 2003 წელი	137
აოცებას მინდორს დიდვთორის.	139
თურმე.	139
ზეიად გამხახუდია.	140
ვარიაციები ხიდედილზ.	141
ბარაბას გზა.	143
* * * როცა ხამმობლო გმინავს და ოხრავს.	144
* * * ვინც ქართველობა აღარ ინება.	144
* * * თუ მოუმრავლდა ქვეყანას.	145
* * * დახოქტებული ჩვენი ქვეყანა.	145
ეთერ მგაღლობლიშვილს.	146
უფრო სასტიკი ყოფილა.	147
ბათუმის მონატრება.	148
უმისამართო ლექსი.	149
* * * წუთისოფელი წუთია.	150
* * * რადგან ხიცოცხლე კაციხა.	151
პოეტი – მზე.	151
ვარდების კარნავალი.	152
ფიქრის გორა.	153
უფრო და უფრო ვლონდები.	154

ტექნიკური რედაქტორი ლუარა გამყრელიძე

კომპიუტერული მომსახურება: თეანა ზაქარაია
მაია ფარულავა

აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „ზანში“

ს ტაშქენტის ქ. №25, ბ. 1

■ 38-03-11

